ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №37, დეკემბერი, 2016 წელი

„ახალი წლის მოლოდინში“. დავით ბაძაღუა

ოლხური მისტერიებით შთაგონებული მხატვარი

ნატო კორსანტია

„ერთი ნახატი მქონდა (მეგონა, არასოდეს გავყიდდი, მაგრამ... სამწუხაროდ, გავყიდე), რომელზეც ანგელოზს ავკიდე სამანის (საზღვრის) ქვა. ქვეყანა უკვე აღარ გვაქვს და სამანის ქვა სად დავდოთ. ჰოდა, იმ ანგელოზივით ზურგით დავატარებთ თითოეული ქართველი სამანის ქვას, რომელიც თითქოს შენი სახლიცაა. ვიმეორებ, ქვეყანა აღარ დაგრჩა და სად დადო, არ იცი. ეს არის შენი ტვირთი“... ამბობს მხატვარი ამირან კუპრავა, რომელიც ამასთან ერთად ბევრ სხვა ტვირთს დაატარებს - ზოგადსაკაცობრიოსა თუ პირადულს. „ვამჩნევ, რომ ჩემი (ასევე სხვა ქართველი მხატვრების) დახატული ყველა პორტრეტი დაღვრემილია. გერმანელებიც მეუბნებოდნენ, ისინი ძალიან სენტიმენტალურები და სევდიანები არიანო. - თქვენი არ ვიცი და ჩვენ ქართველებს, სასაცილოდ არ გვაქვს საქმე-მეთქი, ვეუბნებოდი. სამხატვრო აკადემიაში გვასწავლეს, განა არა გვასწავლეს, გაღიმებული კაცი როგორ უნდა დაიხატოს, წარბები როგორ უნდა აუწიო, თვალები როგორ უნდა დაუჭყიტო, მაგრამ შინაგანი ბუნება რასაც გკარნახობს, იმას გადმოსცემ. ესეც ჩვენი ტვირთია“, - აგრძელებს ამირან კუპრავა. ასეა, იტევს და ვერც იტევს მისი ნამუშევრები ამ „ტვირთს“, ფერებიც ამიტომ არის უფრო მეტად სევდისმომგვრელი, ჭაობისფერი - მისი მშობლიური კოლხეთის დარად. ეს უკვე დიდი რწმენაა, იმ დროიდან ამ დრომდე გაბმულ სიყვარულის ბაგირზე გამოყოლაა, რადგან მხოლოდ მის გაგრძელებაში ილანდება ნათელი მომავალი. ამიტომაც ვერ ელევა იმას, რაც იქ დარჩა დიდი ცივილზაციის სახით და და სხვები შეელივნენ.

გაგრძელება გვ. 9-10

ვირტუალურ მუზეუმში ასახული აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა
გვ.2

სოხუმის თეატრის გმირად ქცეული კოლექტივი
გვ.5

პოეტ ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის სიცოცხლე მისსავე პოეზიაში გრძელდება
გვ.6

თაობა მოდის!

გვ.6-9

ვირტუალურ მუზეუმში ასახული აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა

მაია შონია

აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული და ამ ტერიტორიაზე შექმნილი კულტურული მემკვიდრეობა ქართული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უნიკალური ექსპონატების დიდ ნაწილს მუზეუმები ინახავენ, მაგრამ არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც კონფლიქტის ზონაში მდებარეობს, განადგურების პირასაა. არათუ მათი რესტავრაცია-კონსერვაციის, უბრალოდ დათვალიერების შესაძლებლობაც კი არ არსებობს. ბევრი მათგანის აფხაზეთის 1992-1993 წლების ომამდელი მდგომარეობაც კი დღეს მხოლოდ ფოტოებზეა ასახული. ამ ფონზე ვირტუალური მუზეუმის შექმნა, რომელიც აფხაზეთის კულტურულ მემკვიდრეობას უძველესი დროიდან დღემდე ასახავს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ აფხაზეთის არ მთავრობის მხარდაჭერით განხორციელებული უმნიშვნელოვანესი პროექტია.



ვირტუალური მუზეუმების შექმნის გამოცდილება ევროპაში დიდ ხანია არსებობს. საქართველოში კი მსგავსი პროექტი პირველად შედგა. ვირტუალური მუზეუმი როგორც საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ხელოვნების მუზეუმში დაცულ, ისე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თავად კონფლიქტის ზონაში მოპოვებულ ექსკლუზიურ მასალებს უყრის თავს. ვირტუალური მუზეუმის დათვალიერება აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე უკვე შესაძლებელია. იხ. ბმული http://meca.gov.ge/vm/

ვირტუალური მუზეუმი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა დაგეგმა და განახორციელა. მუზეუმისთვის სპეციალური პროგრამა კომპანია „ბიზნეტ - X“-მა დაამზადა. მუზეუმი თემების მიხედვით ცალკეულ დარბაზებად არის დაყოფილი. ამჟამად წარმოდგენილია შვიდი დარბაზი: 1. არქიტექტურა; 2. ეთნოლოგია; 3. შუა საუკუნეების ხელოვნება; 4. არქეოლოგია; 5. ისტორიული დოკუმენტები; 6. აფხაზეთის თანამედროვე მხატვრების შემოქმედება; 7. ალექსანდრე შერვაშიძის შემოქმედება. შესაძლებელია დარბაზების რაოდენობის გაზრდა, ანუ პროგრამას შეუზღუდავი შესაძლებლობები აქვს. მუზეუმში განთავსებულია როგორც ვიზუალური მასალა, ისე ტექსტები, რომლებიც დამთვალიერებელს თითოეული ექსპონატის შესახებ მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდგენას უქმნის. მუზეუმის მუსიკალური გაფორმებისთვის გამოყენებულია გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელას რეპერტუარი.

არქიტექტურის დარბაზი მოიცავს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურული ძეგლების შესახებ მასალას. სულ წარმოდგენილია 180-მდე ფოტო, რომელთა ნაწილი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში ინახება, ნაწილი კი მუზეუმის შემქმნელებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გადასცა.

ეთნოლოგიის დარბაზში წარმოდგენილია ძირითადად ინტერნეტსივრცეში მოპოვებული მასალა - სულ 70 ფოტო.

აფხაზეთის არქეოლოგიის შესახებ დოკუმენტები და მასალები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მიაწოდა ონლაინ-მუზეუმის ავტორებს. აქ სულ წარმოდგენილია 40 ფოტო.

აფხაზეთში შუა საუკუნეებში შექმნილი ხელოვნების ნიმუშების შესახებ მასალები - 60-მდე ფოტო - მოძიებულ იქნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, მათ შორისაა ბედიის ბარძიმი და ოქროს ფონდში დაცული სხვა უნიკალური ექსპონატები.

ისტორიული დოკუმენტების დარბაზში წარმოდგენილია უნიკალური ხელნაწერები. საქართველოს ამ ტერიტორიაზე არაერთი უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი შექმნილა, რომელთა დიდი ნაწილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. მათ შორისაა ცნობილი „მოქვის სახარება“. ვირტუალური მუზეუმის ამ ნაწილში წარმოდგენილი მასალა - 70 ფოტო - სწორედ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდანაა მოწოდებული.

ცნობილი სცენოგრაფის, პუბლიცისტისა და ილუსტრატორის ალექსანდრე შერვაშიძის დარბაზში წარმოდგენილია მის შესახებ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული მასალები და დოკუმენტები - სულ 200 ფოტო. მათ შორისაა მის მიერ შესრულებული გრაფიკული ნამუშევრები, ფერწერა და წიგნის ილუსტრაციები.

დღემდე აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან აფხაზეთიდან დევნილი მხატვრები. ვირტუალური მუზეუმის აფხაზეთის თანამედროვე მხატვრების დარბაზმა სწორედ მათი შემოქმედება ასახა. მასალები - 300-მდე ფოტო - ვირტუალური მუზეუმის ავტორებს აფხაზეთის მხატვართა კავშირმა გადასცა.

მუზეუმში შევიდა ბევრი ისეთი ძეგლი, რომელთა შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია. მათ შორისაა წებელდის კანკელის ნაწილი და სოხუმის სტელა. ამ ძეგლების შესახებ ექსკლუზიური მასალების მოპოვება აფხაზეთში მოხერხდა.

ვირტუალურ სივრცეს „საზღვრები“ არა აქვს, ის ყველასთვის, მათ შორის აფხაზებისთვისაც ხელმისაწვდომია. მასალა ასევე საინტერესოა როგორც ისტორიკოსების, მკვლევარებისა და ხელოვნებათმცოდნეებისთვის, ისე ახალგაზრდებისთვის, რომელთა უმეტესობამ ამ ძეგლების შესახებ თითქმის არაფერი იცის.

ირაკლი გელენავა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსი: - ვირტუალური მუზეუმი, რომელიც უკვე განთავსდა ჩვენი სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, პერიოდულად განახლდება, დაემატება ახალი მასალები, შეგვიძლია დარბაზების რაოდენობის გაზრდაც. ამ პროგრამის შექმნისას ჩვენი ძირითადი სამიზნე იყო ახალგაზრდობა, ასევე ის ადამიანები, რომლებიც კონფლიქტის ზონაში იმყოფებიან. ველოდებით გამოხმაურებებს აფხაზური მხარისგან. მომავალ წელს იგეგმება ვირტუალური მუზეუმის ინგლისური და აფხაზურენოვანი მხარდაჭერა, რაც გვერდს კიდევ უფრო ფართო აუდიტორიისთვის გახდის ხელმისაწვდომს. ამგვარი მუზეუმების შექმნის გამოცდილება ევროპაში უკვე არსებობს. ჩვენთან ეს პირველი მცდელობაა და ვფიქრობთ, ის მალე წარმატებული და პოპულარული გახდება.

აფხაზეთის საგუნდო კაპელას წევრებს მადლობის სიგელები გადაეცათ

ეკატერინე გადილია

გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის საგუნდო კაპელას სამხატვრო ხელმძღვანელი ზვიად ბოლქვაძე და კაპელას თითოეული წევრი „წარმატებული შემოქმედებითი საქმიანობისა და ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ.

მადლობის სიგელები კაპელას წევრებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დიმიტრი ჯაიანმა** გადასცა და აღნიშნა: „აფხაზეთის საგუნდო კაპელა, რომელსაც ჰქვია გურამ ყურაშვილის სახელი და რომელსაც უკვე მსოფლიო იცნობს, ამას თამამად ვამბობ, არის აფხაზეთის მთავრობის, მთლიანდ აფხაზეთის საზოგადოების დიდი სიამაყე. ეს, ცხადია, გურამ ყურაშვილის დამსახურებაა, მაგრამ მისი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ, კაპელას ისევ ღირსეული პიროვნება, გამორჩეული დირიჟორი ზვიად ბოლქვაძე ჩაუდგა სათავეში“.

„ჩემთვის ძალიან დიდი პატივია და ამასთანავე პასუხისმგებლობა ამ კაპელას სამხატვრო ხელმძღვანლად ყოფნა. ვფიქრობ, მომავალშიც ძალიან ბევრი კარგი სიახლით გაგახარებთ, რითაც დარწმუნებლი ვარ, ბატონი გურამის სულიც იხარებს. კაპელას აქვს უზარმაზარი პოტენციალი, რომ საქართველოს სახელი კიდევ უფრო შორს გაიტანოს. შევეცდები, მეც ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი ჩავდო ამ პროცესში და ჩემი შრომით გავახარო ქვეყანა. უღრმესი მადლობა თქვენ, ბატონ ვახტანგ ყოლბაიას და ბატონ დიმიტრი ჯაიანს, რომ აქ ვარ და ამ საქმეს ვაკეთებ. ღმერთმა წარმატებები არ მოგვიშალოს“, - აღნიშნა დაჯილდოების ცერემონიალზე აფხაზეთის საგუნდო კაპელას სამხატვრო ხელმძღვანელმა **ზვიად ბოლქვაძემ.**

აფხაზეთის საგუნდო კაპელასთვის მადლობის სიგელების გადაცემის ცერემონიალს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი **მარინა შენგელია** ესწრებოდა.

მანამდე, ცოტა ხნით ადრე გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელას, ბელგიის სამეფოში, ბრიუსელის წმინდა მიქაელის და გუდულას სახელობის საკათედრო ტაძარში გამართული კლასიკური მუსიკის საქველმოქმედო კონცერტში წარმატებული გამოსვლის შემდეგ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვახტანგ ყოლბაიამ** საგანგებო მიღება გაუმართა. მიღების დროს მან კაპელას წევრებს წარმატებული გამოსვლა მიულოცა და მადლობა გადაუხადა.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის საგუნდო კაპელა წლეულს, ოქტომბერში ბელგიის საკათედრო ტაძრის - მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - დაცვა-შენარჩუნების პროცესში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მონაწილეობდა.

სოხუმის თეატრის გმირად ქცეული კოლექტივი

მაია შონია

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი ოდითგან გამორჩეული იყო თავისი მნიშვნელობით და მას ამ მნიშვნელობას იქ მოღვაწე ადამიანები და თეატრის საოცრად წარმატებული შემოქმედებითი ცხოვრება სძენდა. თეატრი აფხაზეთში დიდ ქართულ საქმეს აკეთებდა. სწორედ ამის გამო ვერ აცდა იგი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გარკვევის პროცესს, რამაც თავის დროზე თეატრის გაყოფაც კი გამოიწვია. კონფლიქტის დაწყების შემდეგ კი ადამიანები, რომელთაც ომთან და იარაღთან საერთო არაფერი ჰქონდათ, მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ და სამშობლოს დამცველ გმირებად იქცნენ. დღეს უკვე მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად საღამოები იმართება. კოლეგებს დღესაც ძალიან უჭირთ ამ რეალობასთან შეგუება. სწორედ ეს განწყობა გამოჩნდა ყველაზე კარგად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში გამართულ ხსოვნის საღამოზე, რომელიც სამინისტროს ხელოვნებისა და მიმდინარე ღონისძიებების სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: - კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ძალიან დიდი კვალი დატოვა როგორც შემოქმედებითი, ისე საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაზრისით. თეატრი ვერ დარჩებოდა ვერც იმ მოვლენების მიღმა, რაც 1992-1993 წლებში აფხაზეთში განვითარდა, მხედველობაში მაქვს საომარი მოქმედებები. ზოგადად, თეატრს აქვს ეგრეთ წოდებული ჯავშანი და თავისუფლად შეუძლია, როგორც შემოქმედებითმა ორგანიზაციამ, არ იომოს, მაგრამ სოხუმის თეატრის თითქმის ყველა მამაკაცი მსახიობი ომის შუაგულში აღმოჩნდა. ისინი მონაწილეობდნენ ომამდე დაწყებულ პროცესებშიც - აფხაზებთან ურთიერთობების დალაგებაში, რასაც თავის დროზე თეატრის ორად გაყოფაც კი მოჰყვა. ყოველივე ამან თავისი კვალი დატოვა ამ ადამიანების განწყობასა და შემოქმედებაზე. ამანაც შექმნა ომში მონაწილეობის წინაპირობა.

ომის შემდეგ თბილისში თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელმა გიგა ლორთქიფანიძემ სოხუმის თეატრის დასს ვახშამი მოუწყო. მეც ვიყავი ამ ვახშამზე. მაშინ ბატონმა გიგამ დაღუპული ბიჭები გაიხსენა და თქვა, რომ ეს გმირები გაუგებარ ომში დაიღუპნენო. სოხუმის თეატრის მსახიობი ლორინა პაპუაშვილი ამ სადღეგრძელოს შემდეგ წამოდგა და თქვა, მე ვერ დაგეთანხმებით, ბატონო გიგა ამ შეფასებაში, ჩემი ქმარი და შვილი (ომარ და ვახო ელერდაშვილები სოხუმის თეატრის მსახიობები იყვნენ მ.შ.) გაუგებარ ომში კი არ დაიღუპნენ, არამედ ისინი ჩვენს სამშობლოს შეეწირნენო. შვილი ტანკში ჩაიწვა, რის შემდეგაც მამა მერვე სართულიდან გადმოხტა. ეს ფაქტი კარგად ასახავს, თუ როგორ იყო თეატრი ჩართული ამ ომში. ქედს ვიხრი მათ წინაშე, რადგან ძალიან რთულია სამსხვერპლოზე მიიტანო ის, რაც ღმერთმა გიბოძა და მისი წართმევის უფლებაც მხოლოდ მას აქვს - სიცოცხლე. მთელი ომის განმავლობაში თეატრი მოვლენების ეპიცენტრში იყო. დღეს ის მშვიდობის სიმბოლოა, წარმატებით აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას და სულ სხვა ფუნქცია აკისრია. მისი არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენის საქმეშიც თავისი წვლილი შეაქვს. დღემდე თეატრის წარმომადგენლები დიდი სიყვარულით იხსენებენ აფხაზ კოლეგებსაც, რომლებთან ერთადაც, წლების განმავლობაში, ჭამბას სახელობის სოხუმის თეატრში წარმატებით საქმიანობდნენ. ტრაგიკული მოვლენები, რომლებიც გარედან მოგვახვიეს თავს, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ურთიერთობები კი უნდა აღვადგინოთ. ომში დაღუპულთა სახელების არდავიწყება ჩვენი ვალია და ამას მიეძღვნა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში გამართული ეს ხსოვნის საღამოც.

დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი: - ომის პერიოდში ათი ადამიანი დააკლდა თეატრს. ზოგი მსახიობი იყო, ზოგი მემანქანე და ა.შ. მათ შორის იყვნენ: ლევან ლოგუა, ვასო ჩხეიძე - საოცარი ბიჭი, ზურაბ ვიბლიანი, კახა წერედიანი, ვოვა სემიონოვი, თემურ ჟვანია, თენგო ვეკუა, სლავა ბოჭორიშვილი, ომარ და ვახტანგ ელერდაშვილების ამბავმა მთელი საქართველო შეძრა. როცა ომი წავაგეთ და წამოვედით, ვერ გადაიტანა გულმა ეს უბედურება და ბევრი უკვე აქ, დევნილობაში დაგვაკლდა. ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებულად ვეფერებით იმ ადამიანებს, რომლებმაც დღემდე მოიტანეს ეს თეატრი. ან რა უფლება გვაქვს, მიშა შედანია, ნორა ყიფიანი, თინა ბოლქვაძე არ გავიხსენოთ. შეუძლებელია, ამ ადამიანების ხსოვნა დავივიწყოთ. ამ საღამოზე ჩვენ წარმოვადგინეთ ფოტოარქივი, ვიდეომასალა, რომლებიც მათ ხსოვნას ინახავენ.

გიორგი ქავთარაძე, სოხუმის დრამატული თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი: - ჩვენი ბიჭები მოიქცნენ ისე, როგორც ქართველ ვაჟკაცებს შეეფერებოდათ. ეს იყო ჩვენი დიდი ტრაგედია. ისეთი სევდა შემომაწვება ხოლმე მათ გახსენებაზე. ჩვენ ძალიან მეგობრული თეატრი ვიყავით. ეს ტრაგედია რომ მოხდა და ომი დაიწყო, მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი აუცილებელი იყო. ისინი დაუფიქრებლად დადგნენ ქვეყნის სადარაჯოზე. ღმერთმა გაანათლოს მათი სულები. მადლობა ჩვენს ბიჭებს, რომლებმაც მეგობრობა ბოლომდე გაიტანეს და ეს საღამო მოაწყვეს. ეს ძალიან დიდი თავყრილობაა. ცხოვრება გრძელდება, თეატრის ცხოვრებაც გრძელდება და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

გოჩა კაპანაძე, რეჟისორი: - ომში დაღუპულებსაც ვიცნობდი, მაგრამ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მიშა ქვაჭრელიშვილი, რომელიც ამ თეატრის მსახიობი და ჩემი სტუდენტი იყო. ის თბილისში დაიღუპა. ეს ადამიანები შეეწირნენ სამშობლოს. მათი ხსოვნა, დარწმუნებული ვარ, ყოველთვის უკვდავი იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ ამ ინიციატივას ჩაუყარა საფუძველი. თეატრში მოღვაწე ადამიანები მხოლოდ სამსახიობო ხელოვნებასთან არიან ხოლმე გაიგივებული. ჩვენი გმირები კი გამოირჩეოდნენ იმით, რომ პატრიოტები იყვნენ და ქვეყანას შეეწირნენ.

ზაურ კალანდია, მწერალი: - თავის დროზე მაჩაბლის თეატრი რომ არსებობდა, ისე არსებობდა ეს თეატრი აფხაზეთში. მხოლოდ ელერდაშვილების ოჯახის ტრაგედია კმარა იმის წარმოსადგენად, რაც იქ ხდებოდა. მიმაჩნია, რომ ყველა დევნილი გმირია. მათ ერთი სიტყვა ჰყოფნიდათ, რომ ეთქვათ - არ ვართ ქართველებიო და არც ერთ მათგანს არ მოკლავდნენ და არც დევნილებად აქცევდნენ. ის ორასი ათასი ადამიანი, რომელიც დღემდე დევნილობაში ცხოვრობს, ქართულ ენას, ქართველობას, ღირსების დაცვას შეეწირა - გმირობა, აბა, სხვა რას ნიშნავს, სხვა რა გვქონდა გასაყოფი?.. ეს არის ჩვენი ტრაგედია. ახლახან აფხაზურ-ქართულ ურთიერთობაზე გადაიღეს ფილმი „მტერი ჩემი - ძმა ჩემი“, რომლის სცენარის ავტორიც ვარ. იქ ერთი გმირი - ქართველი - აფხაზს ეუბნება, შენ შენს სახლ-კარს იცავ და მე ჩემსას, მაგრამ ტყვია, რომელსაც ვესვრით ერთმანეთს, ქართველ კაცს არ ჩამოუსხამს და სად ჩამოისხა, ეს შენ ჩემზე უკეთ იციო. ჩვენ ყველამ ვიცით, სად და როგორ დაიგეგმა ეს ყველაფერი. გული მწყდება იმაზე, რომ ქართველი ერი მაინც იარსებებს, ხოლო აფხაზის ყოფნა-არყოფნის პრობლემა უკვე დგას.

მიხეილ ჩუბუნიძე

ვალერი არღვლიანი, ფლორა შედანია და ბახა ბექაური

ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი და გიზო სირაძე

ფლორა შედანია და თინა ბაგლიძე

პოეტ ეთერ სამხარაძე- ჯღამაძის სიცოცხლე მისსავე პოეზიაში გრძელდება

ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში პოეტ ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ლექსების კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. კრებული პოეტის ხსოვნის უკვდავსაყოფად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელოვნებისა და მიმდინარე ღონისძიებების სამსახურის ქვეპროგრამის „ბეჭვდითი გამოცემების„ ფარგლებში გამოიცა. კრებულის შემდგენელ-რედაქტორია ტიტე მოსია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

პრეზენტაციას უძღვებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, რომელმაც ერთხელ კიდევ შეახსენა დამსწრეთ, როგორ დახვრიტეს ქართველი პოეტი ქალი მეუღლესთან ერთად სოხუმში მხოლოდ მისი ეროვნული სულისკვეთებისა და სამშობლოს ერთგულების გამო. ეთერ სამხარაძე-ჯღამაძეზე, როგორც შესანიშნავ პოეტსა და მოქალაქეზე ასევე ისაუბრეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ელგუჯა (გია) გვაზავამ, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, პოეტმა გენო კალანდიამ, მუსიკოსმა ია მაისაიამ, მწერალმა ციალა არდაშელიამ, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის მშობლიური ჭიათურიდან ჩამოსულმა სტუმრებმა: მაია ტყემალაძემ, პოეტმა იზა ცარციძემ და სხვ. საღამოს ასევე ესწრებოდნენ პოეტის შვილები, ახლობლები და მეგობრები.

საღამოზე ითქვა, რომ ეთერ სამხარაძე-ჯღამაძისა და მისი ოჯახის ტრაგიკული ისტორია დაუვიწყარია და თვით ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც ბევრმა უნდა იცოდეს ამის თაობაზე.

ტიტე მოსია



XX საუკუნის II ნახევრის აფხაზეთის ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ეთერ სამხარაძე - ჯღამაძე. იგი იყო შესანიშნავი პოეტი და სანიმუშო პიროვნება. გარეგნული მშვენიერება, კდემამოსილება, უჩვეულო სათნოება, კეთილშობილება, სულიერი სილამაზე მას სხვათაგან გამოარჩევდა.

მან პირველი პოეტური კრებულის გამოქვეყნებისთანავე მიიქცია მკითხველის ყურადღება. მხედველობაში გვაქვს ეთერ სამხარაძის „ალუბლის ტოტი“, რომელიც სოხუმში დაიბეჭდა 1966 წელს. მაშინ იგი 38 წლისა გახლდათ. ამის შემდეგ ეწეოდა აქტიურ პოეტურ მოღვაწეობას. აფხაზეთის ტრაგედიამდე 20-მდე წიგნის გამოქვეყნება მოასწრო: „სამშობლოს დილა“, „მანდილი“, „ფიფქები“, „ბედის ვარსკვლავი“, „შორეული ვარდფურცლობა“, „დაუვიწყარი“, „ახსოვს ვისლას“ და სხვ. წერდა სამაგალითო საყმაწვილო ლექსებს, რომელიც ცალკე წიგნებად გამოსცა. გამოაქვეყნა სატირულ-იუმორისტული ლექსების ორი წიგნი: „იცინე და იხარხარე“, „ქალების გასაჭირი“. ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ 2007 წელს დაისტამბა დიდი გემოვნებით შედგენილი მისი ნაწარმოებების „რჩეული“ ჯანო ჯანელიძის წინასიტყვაობითა და რედაქტორობით.

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის პოეზიამ იმთავითვე იპოვა ვარდფენილი გზა პოეზიის მოყვარულთა გულებისაკენ. პოეტის სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ არაერთი წერილი, გამოხმაურება, რეცენზია დაიწერა და გამოქვეყნდა. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, აფხაზურ და სხვა ენებზე. საინტერესოა, რომ არაერთმა კომპოზიტორმა შექმნა ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის 50-მდე ლექსზე საესტრადო, საგუნდო და საბავშვო სიმღერები.

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე დაიბადა 1928 წლის 11 მარტს ჭიათურის რაიონის სოფელ რგანში. რგანი იმერეთის ერთ- ერთი ულამაზესი სოფელია.

შემდეგ აფხაზეთში სამუდამოდ დამკვიდრებულ პოეტ ქალს თან სდევდა სიყვარული მშობლიური სოფლისადმი, სადაც იზრდებოდა 17 წლამდე. არაერთი ლექსი უძღვნა მან იმერეთს, მუდამ ლექსად აღანთებდა რგანისადმი ტრფიალი და მოწიწება: „მინდვრის ყვავილებით დახატული სერი. სივრცე ტოროლების ფრთებით დანასერი... ქართან მოშრიალე თეთრი ალუბალი და დედასთან ჩრდილქვეშ ტკბილი საუბარი... მარნის კარი მუდამ სტუმართათვის ღია, ზვარში ლორთქო ვაზი, ბაღში ნორჩი ღვია, ბანზე წიგნით ხელში დედისერთა ქალი, მამა, მაღაროსკენ ფარნით მიმავალი. გაფრენილი ყრმობა, ფიქრი ათასგვარი და იმ ფიქრთა მეფე-რგანი, ჩემი რგანი და დღეს, როცა ვუცქერ ბებერ ხეთა ლანდებს, თითქოს ჩემი ყრმობა კვლავ ფეხდაფეხ დამდევს. ეზოს ბალახების ფარჩა გადაცმია, კვლავ ოცნებასავით ჰყვავის აკაცია. ჩემი ლურჯი ეზო, მერე რა პაწია... რარიგ წარმტაცია, რარიგ წარმტაცია...“

ეთერ სამხარაძე- ჯღამაძე სწავლობდა რგანის საშუალო სკოლაში. იგი მხოლოდ ათი წლისა იყო, როცა პირველი ლექსი დაწერა.

1945 წელს 17 წლის რგანელი გოგონას მომავალი ცხოვრების ვექტორი სოხუმისკენ შებრუნდა. იგი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ქუთაისის ერთ-ერთ სამხედრო ჰოსპიტალში მედდად მუშაობდა, სადაც ჭრილობებს იშუშებდა სოხუმელი ულამაზესი ახალგაზრდა კაცი ხუტა (ანტონ) ჯღამაძე, რომელსაც სხვა დაჭრილ მეომრებთან ერთად უვლიდა ეთერ სამხარაძე. მათ იქვე შეუყვარდათ ერთმანეთი, რაც დაქორწინებით დაგვირგვინდა. შექმნეს არაჩვეულებრივი ოჯახი, რაც სანიმუშო იყო მთელ სოხუმში. აღზარდეს სამი შვილი (აზა, ვაჟა, რეზო). ისინი ყაზბეგის ქუჩაზე ცხოვრობდნენ.

საგულისხმოა, რომ ეთერ სამხარაძე მეუღლის სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად მთელი 48 წლის განმავლობაში საკუთარ გვართან ერთად მის გვარსაც ატარებდა და მთელი საზოგადოება იცნობდა ეთერ სამხარაძე-ჯღამაძედ. მან 1966 წელს დაამთავრა სოხუმის მასწავლებლის სახლთან არსებული პედაგოგიური ცოდნისა და ესთეტიკური აღზრდის სახალხო უნივერსიტეტი. ერთხანს რადიოშიც მუშაობდა და გაზეთ. „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაშიც. სწორედ ამ გაზეთში დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „დედა“ 1956 წელს, ხოლო ათი წლისთავზე - 1966 წელს დაისტამბა ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის პირველი წიგნი -„ალუბლის ტოტი“. მაშინ პირველ კურსზე ვსწავლობდი და კარგად მახსოვს, თუ როგორ გვიყვარდა სტუდენტებს ეს წიგნი, რომელშიც შესული ლექსების გარკვეული ნაწილი ზეპირად ვიცოდით, ზოგჯერ ვმღეროდით კიდეც.

1989 წლამდე აფხაზეთში ცხოვრება ნიაღვარივით მიღელავდა, დუღდა და გადმოდუღდა. თითოეული აფხაზი, ქართველი. სხვა ეროვნების წარმომადგენელნი თითქოს ვარსკვლავებს ეთამაშებოდნენ, თითქოს სილაღეს და ბედნიერებას საზღვარი დაკარგული ჰქონდა, თითქოს თითოეულ მოქალაქეს ფრთების შესხმაღა აკლდა, მაგრამ მოულოდნელად მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა, ჩამოწვა სიკვდილისფერი შავი ღრუბელი, ქვეყანა აირია, ხელის ერთი მოსმით სამოთხის მხარე ჯოჯოხეთში გადავარდა. ტრაგედიის გრიგალი ჯღამაძეების ოჯახსაც ეკვეთა.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემისას აფხაზმა სეპარატისტმა „ბოევიკებმა“ ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის მეუღლე ხუტა სახლიდან გამოიყვანეს და ქუჩაში დახვრიტეს, ხოლო ქალბატონი ეთერისადმი გულთბილად განწყობილმა აფხაზმა მეგობრებმა იგი გულში ჩაიკრეს და თითქოს საიმედოდ გადამალეს ერთხანს, თუმცა, სამწუხაროდ, აფხაზი სეპარატისტებისაგან საბოლოოდ ვერ დაიცვეს. 1993 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე ჯერ აწამეს, შემდეგ კი დახვრიტეს. ამით მათ ესროლეს და დახვრიტეს ზოგადად ქართველი ქალი ქართული ლექსი, ქართული ღირსება, თუმცა ვერ დაამარცხეს იგი.

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ტრაგიკული ხვედრის ამბავი იმთავითვე მეხივით გავარდა დანარჩენ საქართველოში. ქართველ ერს დღემდე ვერ მოუშუშებია დაჭრილი გულის ტკივილები. მტარვალმა ვერ გაითვალისწინა, რომ ქართველის დამარცხება არც ისე ადვილია, მისი ფიზიკურად მოსპობა სულაც არ ნიშნავს მის დამარცხებას. პოეტი ქალის სიცოცხლე მისივე პოეზიაში გრძელდება, რომელიც, როგორც ყოველთვის, მომავალშიც უთუოდ აღაფრთოვანებს მკითხველს.

(იბეჭდება შემოკლებით)

მუნჯი - მხატვრის სახელოსნოში

თითქოს დაღლილან გედები ფრენით,
ჰგავს სველი ტილო მინდორს გადაშლილს
და თითქოს მუხა ფოთლების ენით
ესაუბრება ფიროსმანიშვილს
და მუნჯი ურჩი თვალებით უმზერს,
ლურჯ ქედს თუ თეთრ გედს,
მწვანე წყალს თუ მზეს
და ფიქრობს მუნჯი: ფუნჯი, რა ფუნჯი,
წითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი,
სათქმელს თუმც ბლომად კარნახობს გული,
ვაგლახ, ვერ იქნა, ვერ მოტრიალდა
ენა უტყვი და დაჩლუნგებული,
გაჩრილი პირში, როგოც ტყვია და
ბევრი ენვალა,
ბევრი ენამა,
არ მოჰყვა ენა, მაღალაზრიანს...
და მერე... დიდრონ თვალთა ხამხამში
უცებ შესძახა:- რა ლა-მა-ზი-ა! –
ეს იყო და ეს...
ხალხს დღესაც უკვირს,
მუნჯს ერთი სიტყვა რამ ათქმევინა....
ო, სილამაზემ საქართველოსამ
ენა ბევრს ასე აადგმევინა.

ვინა ვარ...

ვინა ვარ?
შენი ცის სილურჯე,
ვარსკვლავთ ციმციმი,
მთებში ნიავის ჩუმი ქროლვა,
წყაროს სიცილი.
შენი საირმე, თუ საჯიხვე,
ცაზე მიდგმული.
ზღვაი ვარ ლურჯი,
თანაც ურჩი,
თანაც დიდგული...
ვინა ვარ?
მზე ვარ,
მომაქვს სითბო, მერე რამხელა!
ქალი ვარ, დარდის, სიხარულის
ლექსად გამხელა.

აღუბლის ტოტი

მერე რა ნაზი,
რა უცოდველი,
მებაღის თბილი ხელით მოვლილი
თვლემს ლურჯ სარკმელთან
ალუბლის ტოტი,
ყვავილთა ფიფქით ჩამოთოვლილი.
დილის ზღვაური აწყდება სარკმელს,
ის თავმომწონე ირხევა უხმოდ,
სიო ჩურჩულით ამბობს
მის სათქმელს
და შორეთიდან მებაღეს უხმობს.
დღეს გაზაფხულის ჰქრიან ქარები
და საოცნებოდ ირთვება კორდი,
ბაღში ბრწყინავენ მინანქარები,
მებაღევ, მოდი!
მებაღევ, მოდი!
ისევ ყვავილობს ალუბლის ტოტი!

ზღვასთან

ვზივარ ნავზე,
ზღვა ზვიადი
ბობოქრობს და ღელავს.
ვის გავანდო ხვაშიადი?
ყველას,
ყველას,
ყველას.

მე ყვირილას გიჟმაჟ ტალღებს
ზღვის ტალღებში ვეძებ.
ნუთუ თვითონ ზღვაც მიმიხვდი,
რომ უმისოდ ვერ ვძლებ?

იბობოქროს,
რას დამაკლებს?
დღეს მებადურს ვგავარ,
კიდევ ერთი ნიჩბის მოსმა
და ნაპირზე გავალ.

თაობა მოდის!

ჩვენი გაზეთის ეს ჩანართი სიმბოლური სათაურით „თაობა მოდის!“ ძალიან საინტერესო და მოაზროვნე, შემოქმედებითი სულით აღბეჭდილ ახალგაზრდებს უყრის თავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოდის თაობა, გამორჩეული ხმითა და ფერით, ემოციებითა და შეგრძნებებით, სათქმელით, ამასთანავე, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით. დღევანდელობის უამრავი საფიქრალ-საწუხარი, გლობალური პრობლემები აქ მათი თვალთახედვის პრიზმაშია გატარებული. ერთი მხრივ, ენგურს გამოღმა დაბადებული, აფხაზეთში დაბრუნებაზე მეოცნებე და, მეორე მხრივ, იქ მცხოვრები მოზარდების სურვილები და იმედებია გადმოცემული.

„გზავნილები აფხაზეთიდან!“ და „გზავნილები აფხაზეთში!“ ეს ის შემთხვევაა, როცა ეს გზავნილები ერთმანეთს ემთხვევა და იმედიც ჩნდება, რომ აფხაზეთს მათი ავტორები ასე ადვილად არავის დაუთმობენ!

ეჭვებისა დ უნდობლობის ორომტრიალში თუ ეს რწმენა გადაგვირჩა, მაშინ აფხაზეთიც გადაგვირჩება!



ცეცხლს გადარჩენილი სკოლის კიბეები, გიორგი კვაშილავა, გაგიდის სკოლა

როგორ ჩამოიტანა თბილისში გალელმა ბიჭმა ფიქრები შორეულ, მაგრამ რაღაცნაირად ახლობელ აფხაზეთზე

ნატო კორსანტია

ეს ბავშვი დაფასთან რომ დგას და ფიქრიანად შეჰყურებს მასწავლებელს, სანდროა, აფხაზეთის ერთ-ერთი სკოლის მესამე კლასის მოსწავლე. ფოტოზე სანდროს თბილისის მეექვსე საავტორო სკოლაში სტუმრობაა აღბეჭდილი. სანდრო ათუმ და იკომ (სვიმონიშვილებმა) თავიანთ სკოლაში წაიყვანეს. ათუ მეხუთეკლასელია, იკო კი მესამეკლასელი - სანდროს ტოლი, თუმცა სანდრო მაინც ათუს დაესწრო გაკვეთილებზე. საღამოს ათუმ ამაყად გამოაცხადა, დღეს სანდრომ ქართულში გაკვეთილი ჩაგვიტარა, ოღონდ, მართლაო და მისთვის ჩვეული ემოციურობით გვიამბო: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა სანდრო დაფასთან იხმო და აფხაზეთის ამბები მოაყოლა, როგორ ცხოვრობენ, რა ენაზე და როგორ სწავლობენ, როგორ ერთობიან, ვინ არიან მისი მეგობრები... და როგორ გადადიან ენგურის ხიდზე...

კლასი გატრუნული ისმენდა თურმე სანდროს ნაამბობს მათ ცხოვრებაში „შემოჭრილ“ შორეულ, მაგრამ რღაცნაირად ახლობელ აფხაზეთზე.

მაშინ გამახსენდა მანანა კარტოზიას (მისთვის ჩვეული მოსწრებული) მინაწერი სანდროს ერთ ფოტოზე: ეს არის ჩვენი მეციხოვნე? ჰოდა, ახლა ეს „მეციხოვნე“ იდგა დაფასთან და თითქოს მისთვის გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად გრძნობდა რაღაცნაირ პასუხისმგებლობას იმის გამო, რასაც ჰყვებოდა...

მერე მასწავლებელს ბავშვებისთვის საშინაო დავალებად სანდროს მეგობრებისთვის წერილების მიწერა მიუცია, თქვენი სურვილები და ემოციები გაუზიარეთო. ხვალისთვის კი გაკვეთილად გალაკტიონის ლექსი: „გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“ გექნებათო!

ათუს ეს ყველაფერი უჩვეულოდ უხაროდა, მიხაროდა

მეც, რადგან წარმოვიდგინე, რომ იმ ღამეს თბილისში, არჩევნებითგადაქანცულ თუნდაც რამდენიმე ოჯახში იფიქრებდნენ აფხაზეთზე. უფროსები გაიხსენებდნენ ალბათ იქ გატარებულ დაუვიწყარ დღეებს, და რაც მთავარია, ბავშვებთან ერთად შეარჩევდნენ სიტყვებს, რა მიეწერეთ იქ მცხოვრები გოგო-ბიჭებისთვის, რომლებსაც მშობლიურ ქართულ ენაზე სწავლას არ ანებებენ და რომლებიც ქართულ, აფხაზურ, მეგრულ და რუსულ (მაღალ კლასებში უკვე ინგლისურიც) ენებს შორის ისე გახლართულან, როგორც ობობას ქსელში...

სანდრო მეორე დღესაც გაჰყვა ათუს სკოლაში, რათა მასწავლებელთან ერთად საშინაო დავალებები და აფხაზეთზე გალაკტიონის ლექსი „ჩაებარებინა“.

P.S თუმცა, აქვე გამოვტყდები, იმ საღამოს თვალი მოვკარი ათუს წერილის ფინალს სანდროს კლასელ ნიკას რომ წერდა: ძალიან მინდა თქვენთან ჩამოსვლა, მაგრამ ვიცი, ეს ადვილი არააო... გამიხარდა, შეუძლებელი არააო რომ არ დაწერა...

გზავნილები აფხაზეთიდან

დღეს და... „ხვალ აფხაზეთში"

ომისგან მიყენებული, ჯერაც მოუშუშებელი ჭრილობები, ნანგრევებად ქცეული სახლები და შიგ მოყოლილი ოცნებები, საკუთარ ჭერქვეშ დაბუდებული შიში და ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებული უუფლებობა, მამულში ფეხაკრეფით, ნაპარევად სიარული, აკრძალული ქართული სკოლები და მშობლიური ქართული ენის სწავლებისთვის წყალობასავით გაღებული კვირაში ორი საათი... და რაც მთავარია, მომავლის შიში... ეს და კიდევ ათასი სადარდელი იკითხება გალის რაიონში მცხოვრები ბავშვობადაკარგული მოზარდების ფოტოებსა და თხზულებებში, მათ „გზავნილებში აფხაზეთიდან". სწორედ ასე ერქვა გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ გალის რაიონში მოქმედი სკოლების მოსწავლეებისთვის გამოცხადებულ კონკურსს, რომელიც ორ ნაწილს - ლიტერატურულ კონკურსს „ხვალ აფხაზეთში" და ფოტოკონკურსს „შეჩერებული წამი" მოიცავდა.

და მიუხედავად ყველაფრისა, მათ ფოტოებსა და თხზულებებში მოჩანს უიმედობის მიღმა მკრთომარე იმედი, რომ ერთ დღესაც ეს უმძიმესი რეალობა წარსულს ჩაბარდება და „ხვალ აფხაზეთში" ქართველები და აფხაზები ერთად დაძლევენ მათ შუა ჩამდგარ მტერს და ისევ ერთად იცხოვრებენ.

გალის რაიონის სკოლების მოსწავლეებმა ფოტოებზე აღბეჭდეს ის რეალობა, რაც იქ აფხაზეთშია, ფურცლებზე კი ის, რაც სურთ ხვალ იყოს. შედეგების შეჯამების შემდეგ გამარჯვებული მოსწავლეები დიპლომებითა და სიგელებით დააჯილდოვეს.

გთავაზობთ კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეთა გადაღებულ ფოტოებს და ამონარიდებს მათი თხზულებებიდან.

„ვცხოვრობთ ჩვენს ქვეყანაში უუფლებოდ, უპატრონოდ. თავიდან ქართული კვირაში ექვსჯერ გვიტარდებოდა, ახლა ორჯერ. მასწავლებელი კრძალვითა და შიშით გვიხსნის ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს... ეს გვწვავს და არ გვასვენებს".

გიორგი გო გოხია,
ქვემო ბარღების სკოლა.

„თავისუფლება გვინდა, თავისუფლება გვწყურია".

ანანო ადამია,
თაგილონის სკოლა.

„უჭირს აქ მაცხოვრებელს, მაგრამ მჯერა რომ კვლავ აყვავდება აფხაზეთი... მე ხვალეთი ვარ ძლიერი, ხვალეთი ვსუნთქავ!!!"

„ხვალ აფხაზები ჩვენთან იქნებიან!"

ნინო ხარჩილავა, ქვემო ბარღების სკოლა.

„სკოლაში რუსულად მიმდინარეობს სწავლა. აფხაზეთის დ-ეფაქტო ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მაქსიმალურად შეზღუდოს ქართული ენის სწავლება... საქართველოს ხელისუფლებამ ყველა ბერკეტი უნდა გამოიყენოს ქართული სკოლების აღსადგენად..."

მარიამ ფაცაცია,
განახლების სკოლა.

„მე ვცხოვრობ რეგიონში, სადაც რუსეთის ბატონობის შედეგად დრო გაჩერდა"...

„ამ ომმა, როგორც აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს, ისე ეთნიკურად აფხაზებსაც წაართვა მომავალი".

დათა მინჯორაია,
განახლების სკოლა.

„საქართველოს იურისდიქციის აღდგენა აფხაზეთში ჩვენი ოცნება და ყოველი ღამის სიზმარია.."

„აფხაზები უნდა მიხვდნენ, რომ მათ და ქართველებს ერთი საერთო მტერი ჰყავთ".

ქრისტინა გაგუა,
გაგიდის სკოლა.

„ყველაზე ლამაზი სამყარო ჩემთვის ოცნებაა, ოცნება ხვალინდელი დღის..."

ლაურა პაპასქუა,
ქვემო ბარღების სკოლა.

„ხალხს საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდება, მთავარია პოლიტიკოსებმა გამონახონ საერთო ენა!!!"

მარიამ ქოგალია,
გაგიდის სკოლა.

„აფხაზეთის ხვალ –არის აფხაზისა და ქართველის ერთად ცხოვრება".

ქრისტინა ქოგალია,
გაგიდის სკოლა.



„კვლავ გაივლის მატარებელი", მარიამ გაგუა, წარჩის N1 სკოლა

„ჩემი ეზო", ნატა ჩემინავა, ფიჩორის სკოლა.

„პატრონის მოლოდინში", ანანო კუპრავა, აფხაზეთის მე13 საჯარო სკოლა



„მოწყენილი თოლიები", მარიამ გაგუა, წარჩის N1 სკოლა

„ძველი დიდების ნაშთი", გიორგი გოგოხია, ქვემო ბარღების სკოლა

„ცასა და მიწას შორის", ლაურა პაპასქუა, ქვემო ბარღების სკოლა

„ბედიის ტაძარი", ბაკურ ჯობავა, რეჩხის სკოლა

„სიმძიმისგან გადახრილი", თიკო ახალაია, განახლების სკოლა

„უმთავრესად მესახება, რომ ორივე მხარემ აღიაროს თავისი შეცდომა".

„ვნატრობ ჩემს სკოლაში არა მხოლოდ აფხაზური, ქართული დროშაც ფრიალებდეს".

ნინო სიჭინავა,
ფიჩორის სკოლა.

„მიუხედავად შიშისა, პირველად გალის რაიონის მოსახლეობის ნაწილი დაუბრუნდა ნასახლარს. წინააღმდეგობა არავის გაუწევია?!! ეს არის ის ნაპერწკალი, რაც ამ მოძმე ხალხებს შორის იყო შემონახული".

ნატა ჩემინავა,
ფიჩორის სკოლა.

„მე აფხაზეთში დავიბადე, პატარა სოფელში დიდი პერსპექტივით, რომელიც ომმა თან გაიყოლა, მიწაზე, რომელიც ვიღაცისთვის მხოლოდ რუკაზე წითლად შემოხაზული ადგილია, ჩემთვის კი..."

„რთულია აქ ცხოვრება, საშიშიც. უნდა ვიბრძოლო ისე, როგორც ყოველდღე იბრძვიან ჩემი მასწავლებლები სკოლაში პატარა საქართველოს შესანარჩუნებლად..."

„ჩემი თანატოლებისგან განსხვავებით, ცნობიერება ადრე დამიბერდა..."

„ერთხელაც გათენდება ხვალ, როცა ჩემს სოფელს აღარ ერქმევა ოკუპირებული ტერიტორია!!!"

ქრისტინე გითოლენდია,
განახლების სკოლა.

„აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებს დღემდე არ მოშუშებია ის ღრმა ჭრილობა, რომელიც მათ დაღივით დააჩნდა გადამწვარი და განადგურებული შენობების ნაშთებით..."

მარიამ გოცირიძე,
ფიჩორის სკოლა.

„ჩვენ მწარე რეალობაში ვცხოვრობთ, რეალობაა - დუმილი და შეგუება, ყველაფერს ვიტანთ, ყველაფერზე ვდუმვართ. ამ დუმილის სათავე შიშია... შიში, რომელიც გვანადგურებს... საჭიროა ხმა ავიმაღლოთ, გამოვხატოთ, დავაფიქსიროთ, თუ საჭიროა მიტინგი მოვაწყოთ..."

„ჩვენ საკუთარ სამშობლოში უსამშობლოდ დარჩენილი მოზარდები ვართ!!!"

თეკლე ჭეჭია,
ფიჩორის სკოლა.

„ჩვენ კი არ ვცხოვრობთ, ვარსებობთ!!!"

„ჩვენ აფხაზეთის ქართველები ვერ ვგრძნობთ იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებას ვჭირდებით..."

ანა აშორტია,
ოტობაიის N1 სკოლა.

„ჩვენ გვასწავლიან „აფხაზეთის ისტორიას", თუმცა ეს უფრო ზღაპარია ვიდრე ისტორია. ზღაპარი, სადაც ბოროტ ჯადოქრებად ყოველთვის ქართველები გამოჰყავთ".

მარიამ გვაგვალია,
საბერიოს N2 სკოლა.

საქართველოს მწერალთა სახლში ცნობილი ქართველი პოეტის, მთარგმნელის, გერმანისტის, მეექვსე საავტორო სკოლის დამფუძნებლისა და პედაგოგის ამირან პაკო სვიმონიშვილის სახელობის საყმაწვილო ლიტერატურული პრემია „ამირანის“ ალმანახის პრეზენტაცია გაიმართა. ალმანახში წარმოდგენილია 2015 წლის კონკურსის ფინალისტების ნამუშევრები. ფინალისტებს შორის კი აფხაზეთის ოკუპირებული ზონის - გალის რაიონის სოფელ რეჩხის სკოლის მოსწავლე (ამჟამად უკვე ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა და დიპლომატიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი) ციალა - ცირა ჯობავა და აფხაზეთის მეხუთე საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ მუშკუდიანიც არიან. ცირა („ზღვარი მონობასა და თავისუფლებას შორის„) აფხაზეთში არსებულ მკაცრ რეალობაზე მოგვითხრობს, მარიამი კი („იულიას დღიურები„) უკრაინაში, მაიდანზე მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს აღწერს. გთავაზობთ ცირა ჯობავას თხზულებას „ზღვარი მონობასა და თავისუფლებას შორის“.

ზღვარი მონობასა და თავისუფლებას შორის

ცირა ჯობავა

საოცრად მშვიდი ღამე. ცა ვარსკვლავებით მოჭედილი, მთვარე, კეკლუცი პატარძალივით, პირდაპირ ჩემს ფანჯარას მოადგა და თითქოს ჩემს სულში შემოიჭყიტა.

იქ კი, იქ რა ხდება?

უკვე შუაღამეა, არ მეძინება...

რაღაც უხილავი ძალა არ მაძინებს, ფიქრებს მიწეწავს, სულს მიფორიაქებს...

თითქოს იმ უხილავმა ძალამ ზედ გულზე გადამიარა და ათიათასი მწველი იარა დამიტოვა...

ან კი რა დამაძინებს? ზეგ ჩემი დაბადების დღეა, თოთხმეტის გავხდები. ხვალ ზუგდიდს მივდივარ. დედის პასპორტში ჩაწერილს მხოლოდ ხვალ შემიძლია მდინარე ენგურზე გადასვლა, თოთხმეტისას კი ეს გადასვლა შემეზღუდება. ხვალ კიდევ შევიგრძნობ თავისუფლების გემოს, მშობლიური ენის სიტკბოს, კიდევ ერთხელ გავლაღდები, გავთამამდები, თავაწეული ამაყად დავივლი ზუგდიდის ქუჩებს და მოვიკლავ წყურვილს დედის ძუძუსავით ტკბილი და თბილი, ეგზომ მონატრებული მშობლიური ენით... და ამ ყველაფრის მოლოდინი, ამდენი განცდა ძაფზე აცმული ლამაზი მძივებივით გარს რკალად შემოევლო ჩიტის ბარტყივით აფართხალებულ ჩემს გულს და ძილის ნება არ მისცა.

თავს ძალას ვატან, მინდა დავიძინო. ასამდე ვითვლი, ვერც ეს მშველის. ალბათ გამთენიისას ჩამეძინება. ვაითუ დილით ვერ გავიღვიძო და დედამ დამტოვოს.

***

ძილ -ბურანში ჩამესმის დედის თბილი ხმა:

- ცირა, ადექი, დაგვაგვიანდება, ვინ იცის საზღვართან რამხელა რიგი იქნება და უკან მობრუნებას ვერ მოვასწრებთ.

და აი, ვდგავართ, რომელიღაც შორეული ქალაქიდან ჩამოსული რუსი ჯარისკაცის წინაშე, მდინარე ენგურთან, იქ სადაც მონობასა და თავისუფლებას შორის ზღვარი რუსის მძიმე ჩექმით გავლებულა. ვდგავართ გულის ფანცქალით, რამე შარს მოგვდებენ, საბუთებს დაგვიწუნებენ, დაგვაბრუნებენ თუ გაგვიშვებენ?

- ნეტა ამ დილით ხასიათზე თუ არიან?- კითხულობს რიგში დგომით უზომოდ დაღლილი ერთი გალელი; მეორე თავისთვის ჩუმად ბურტყუნებს რუსების აუგს, იქვე მდგომი ქალი კი თვალებით ანიშნებს: - არიქა, არ მიხვდეს, რასაც ამბობ, თორემ საერთოდ არ გაგვიშვებენო.

ერთმა მოხუცმა გაბედა, ამდენი ლოდინით დაღლილმა და არაქათგამოცლილმა შეაღო რკინის კარი, რომელზეც საცოდავად იყო მიყრდნობილი და სცადა შიგნით შესულიყო.

- გამიშვი, შვილო, უკვე აღარ შემიძლია ფეხზე დგომა.

სისხლის გამყინავი ხმა:

- Стой, вообще не пущу!

- Стойте там тихо, какие вы некультурные люди, не шумите!

ამ სიტყვებით უცხო ქვეყნის ჯარისკაცმა კარი მძიმედ ჩარაზა და არხეინად დაიწყო სიარული წინ და უკან, ვითომც აქ არაფერიო.

ამასობაში ერთი ხანდაზმული ქალი იქვე ქვაზე ჩამოჯდა, მეორემ სიცივისგან მოკრუნჩხული ხელ-ფეხის ზელა დაიწყო, მესამემ წამალი უწყლოდ გადაყლაპა... გაუსაძლისი გახდა ლოდინი...

გალახული ძაღლივით ვდგავარ ერთ ადგილზე, გულზე ენით აუწერელი ბოღმა მაწვება, ჩემთვის გულში ვიმეორებ: „გარეული მოვიდა, შინაური გააგდოო“.

დედამ შემომხედა, მიხვდა ჩემს გასაჭირს და გადმომილაპარაკა: „არიქა, ქართული სიტყვა არ წამოგცდეს, თორემ შავ დღეს დაგვაყრიან“. თვალებით ვანიშნე, რომ არაფრის შიში არ ჰქონოდა:

„არა, დედა, ამას როგორ ვიზამ, მე ხომ გულში ვსაუბრობ, ამის უფლება მაინც ხომ მაქვს. მე ხომ უკვე დიდი ხანია ყველა ქართული სიტყვა ერთად შევკრიბე, ერთ დიდ სკივრში მოწიწებით ჩავაწყვე, ცრემლებით გამოვეთხოვე და შიგ გულში ღრმად მოვათავსე. იქიდან გამოსვლის საშუალებას უადგილოდ არ მივცემ, რომ შეურაცხყოფა და ფეხქვეშ გათელვა არ იწვნიოს, სათუთად გავუფრთხილდები“.

რაღაც ბედად რუს ჯარისკაცს მობეზრდა ჩვენი წვალება, ნელი ნაბიჯით წამოვიდა და გაგვიღო რკინის მძიმე კარი, თან სასტიკად გვიბღვერდა - არ გაბედოთ და არ იხმაუროთ,

„მავთულხლართებს მიღმა“, ალექსანდრე გაბელია, მე-2 ოტობაიის სკოლა

თორემ ახლა თუ გავცეცხლდი, თქვენს თავს დააბრალეთო...

ხმის ამოღებას ვინ გაბედავდა და ჩვენც ენაგადაყლაპულებივით მივაწოდეთ საბუთები.

გვეღირსა საზღვარზე გადასვლა. თითქოს ცოტათი გამომიკეთდა გუნება, თითქოს კისერზე გამობმული თოკი ამხსნეს, თითქოს მხრებშიც გავიმართე, თვალი გავაპარე მდინარისკენ და ვაი, შე საცოდავო ენგურო, როგორ მიმხრჩვალხარ და მისავათებულხარ, ნაცემსა და ნაწამებს ჰგავხარ...

სადაა შენი ზარიანი შხუილი?! შენს თავზე გადმომდგარ უცხოებს თითქოს შენთვისაც წაუჭერიათ ყელში თოკი, აქაოდა, იხმაურებ და იქვე მიგახრჩობთ, აქ, ამ არემარეში აბობოქრებისა და აღზევების უფლება მარტო ჩვენ გვაქვსო...

მიგიხვდი ჩემო ენგურო, რა შიშითაც ხარ შეპყრობილი! მანამდე მეგონა, რომ მძულდი, საუკუნეების განმავლობაში ძმადშეფიცული ქართველებისა და აფხაზების დაშორების მიზეზად მიგიჩნევდი, ახლა კი ერთიორად მეცოდები, ჩემო ენგურო, ისტორიამ ერთობ მძიმე ტვირთის ზიდვა გარგუნა ბედად და უამრავი გალელის, გაგრელის, სოხუმელის, გუდაუთელის თუ ოჩამჩირელის საცოდაობის მოწმე გაგხადა, ალბათ ამიტომაც ხარ ამჟამად ასე მილეული... „მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი“, - თითქოს შენზეც უთქვამს დიდ ილიას. შენ ხომ ყოველდღე უყურებ ჩვენს მძიმე, გაუსაძლის ყოფას, თუ როგორი დაბეჩავებულნი, წელში მოხრილნი, არაქათგამოცლილნი, უზომოდ მძიმე ტვირთაკიდებულნი მიდიან და მოდიან, მირბიან და მორბიან შენს თავზე გადებულ ტალახიან და ორმოებიან ხიდზე შიშისაგან გულგახეთქილი ქართველები, ვაიმე - 7 საათი არ გახდეს, როგორმე საზღვარზე გადასვლა მოვასწროთო.

შენ ხომ თითოეული ჩვენგანის სატკივარით ხარ ასე მძიმე ავად!

რაღაც საშინელი ბოღმა ისევ მაწვება გულზე ბურთივით, განვაგრძობ გზას და გავყურებ მდინარე ენგურს. იმ ადგილზე კი, სადაც შედარებით უფრო ღრმაა წყალი, უამრავ თევზს ვამჩნევ და მშურს მათი, რა თავისუფლად, ლაღად და ამაყად დაცურავენ ეს უმწეო და პატარა არსებები, ვითომც აქ არაფერიო. ამ ფიქრში გართულმა შევამჩნიე, რომ ერთი პატარა, მოოქროსფერო თევზი მსწრაფლ ამოხტა წყლიდან, კამარა შეკრა, შეიფართხალა, ისევ ჩახტა წყალში და მიჰყვა ლაღად დინებას.

დედა მაჩქარებს...

- ცირა, გადმოდგი ფეხი, დღეს თუ ვერ მოვასწარით უკან მობრუნება, ხვალ უკვე იმ შავბნელი ნაბაკევის თუ ფიჩორის გზებით, ტალახსა და წყალში ხოხვით მოგვიხდება გადმოსვლა...

ჩვენ უკვე ზუგდიდში ვართ. აქ თავისუფლების სიომ გამომაფხიზლა და სიცოცხლის ხალისი დამიბრუნა, ქართულად საუბარს არავინ მიშლის, გულიდან დარდს ერთიანად ვიყრი, დიდი ხნის ოცნებას ვისრულებ, პირზე მომდგარ უამრავ ქართულ სიტყვას ერთბაშად ვუღებ კარს და აი, გადმოფრინდნენ ლამაზლამაზი სიტყვები, ფრთახატულა ფრაზები. უბრალო რაღაცაზე ათას კითხვას ვუსვამ გამყიდველებს, იმდენს ვესაუბრები ქართულად, რომ გაოცებულები შემომყურებენ. თითქოს გული ვიჯერე, თითქოს ერთიანად ამოვაყირავე და დავცალე აფხაზეთიდან დიდი სასოებით წამოღებული ფერად-ფერადი ქართული სიტყვებით სავსე გუდა, თითქოს კიდევ ერთხელ გადავუხადე ხარკი ამ ჩვენს სასიქადულო ენას, ვაგრძნობინე, რომ მიუხედავად ამდენი ჭირ-ვარამისა, არც ერთი სიტყვა არ დამვიწყებია, კიდევ უფრო შემყვარებია, შემსისხლხორცებია, შემითვისებია მგალობელი ფრინველივით მოღუღუნე ენა ქართული და იმ ადამიანივით, რომელიც გამოცდას ფრიადზე ჩააბარებს და თავისუფლად ამოისუნთქავს, თავდაჯერებული და დამშვიდებული წამოვედი დედასთან ერთად უკან, აფხაზეთისკენ და მაშინ მივხვდი, რომ აკრძალულ ხილს უფრო ტკბილი გემო ჰქონია.

რუხისკენ მიმავალ მიკროავტობუსში ახალი დიალოგი იმართება.

- მალე თუ წავალთ აქედან?

- ვაი, რომ 7-ზე საზღვარი იკეტება.

- არა, ჯერ კიდევ გვაქვს დრო...

- მარტო აფხაზები რომ იდგნენ საზღვარზე, არ იყო ამდენი პრობლემა.

- ცოტა დაუჩქარე, მძღოლო, თორემ უკან მოგვიხდება დაბრუნება.

- ვაიმე, ვერ მოვბრუნდები, ავადმყოფი დავტოვე მარტო.

- მე კი ბავშვები-მეზობლის ამარა.

გაბრაზებული მძღოლის უკმაყოფილო შეპასუხება: - გადაიხადეთ თითო ლარით მეტი და წაგიყვანთ. აბა, რა ვქნა, ცარიელი ხომ ვერ წავალ?

მძღოლს სულ არ ადარდებს ჩვენი გასაჭირი, მოვასწრებთ თუ არა საზღვარზე გადასვლას, ითვლის იმას, თუ რამდენი სვლა გააკეთა და რამდენი მოგება ნახა.

ბოლოს და ბოლოს შევთანხმდით და დაიძრა მიკროავტობუსი. დგას ორთვალა და ელოდება მგზავრებს, აქაც წინასწარ ფულის აკრეფა, აქაოდა, შეიძლება მერე ვინმემ არ გადაიხადოს, ისე ჩამოხტესო...ღმერთო, შენ დამიფარე...

ორთვალაზე ავედით... ცოტა მეტი ტვირთი მოგვიგროვდა, ხოლო წიგნი, რომელიც დიდი სასოებით ვიყიდე, ჩანთის კი არა, ტანსაცმლის ქვეშ დამალული, გულზე მისვენებული, დიდი მოწიწებით ჩამაქვს აფხაზეთში.

ენგურის ხიდზე ისე მიჯანჯღარებს მარტო ერთცხენშებმული ორთვალა, ვშიშობ, გულ-მუცელი არ გამიერთიანოს.

საზღვარს მივადექით.

ერთი კი გავიხედე იმ ადგილისკენ, სადაც მდინარე ენგური ნელი ბუტბუტით ქვებზე ძლივს გადადის და ნაცემი ძაღლივით მიიკლაკნება, გამაგრება და ძალების მოკრება ვუსურვე და გადავუჩურჩულე: „ნახავ, ენგურო, შენი კიდეები ისევ თუ არ გაივსოს წყლით, ისევ თუ არ დაგიბრუნდეს სიცოცხლის ხალისი“.

გამშვებ პუნქტთან მდგარი აფხაზი დედაჩემის მიერ გაწვდილ საბუთს არ ამოწმებს, თვალებით გვანიშნებს, იჩქარეთ, თორემ რუსი არ შეგიშვებთო და მივრბივართ, წუთები აკლია შვიდს. ვასწრებთ საზღვარზე გადასვლას და უკვე იქა ვართ, სადაც ჩემი მშობლიური სახლია, მშობლიური სკოლა, სადაც თავისუფლების მეტი ყველაფერია, სხვანაირად მოლივლივე ზღვა, სხვაგვარად მანათობელი მზე, სხვა დარი... ერთი სიტყვით, სამოთხეა, მაგრამ ნ. ბარათაშვილის არ იყოს: „... რას არგებს კაცსა დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება?“

ვფიქრობ და ვერ გამირკვევია, რა ჰქვია ასეთ ყოფას, როცა შენს საყვარელ აფხაზეთში დროის ათვლა ვიღაც გადამთიელის „კაპრიზით“ იწყება, როცა შენს მშობლიურ კუთხეში „ის“ გალაღებულია, ხოლო შენ უცხოსავით ხარ და ფრთა ვერ გაგიშლია.

როდემდე უნდა ვიყოთ ასე, როდემდე?! ჩემო საყვარელო ქვეყანავ, მომეცი ამის პასუხი!

აბიტურიენტთა და მოსწავლეთა მოსამზადებელი ცენტრის „სწავლულის“ აბიტურიენტები -ანი ვეკუა, ირაკლი კაკიტაძე, მარიამ შენგელია, ცენტრის კურსდამთავრებულები - კავკასიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი - კესო ჯაფაროვა და წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი თამარ ჯიბუტი აფხაზეთის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ფიქრისას, ნაფიქრალის რეფლექსიისათვის სხვადასხვა ჟანრს ირჩევენ - ესეიზს, მინიატურას, ფოტოგრაფიას... მათი ყოველი ტექსტი სევდით, ნაღველით, ფაქიზი ლირიზმით, იმედითა და რწმენითაა გამორჩეული. ანი, მარიამი და ირაკლი წარმოშობით აფხაზეთიდან არიან და მათ უნახავად უყვართ საქართველოს უმშვენიერესი კუთხე. ამ ახალგაზრდების და მათი თანატოლების სევდა, ნაღველი, ლირიზმი, იმედი და რწმენა საწინდარია აფხაზეთის დაბრუნებისა.

გაზაფხული კვლავ დადგება

კესო ჯაფაროვა

აფხაზეთი ჰგავს ზამთრობით დაცარიელებულ მერცხლის ბუდეს.

იქ სიცივეა, მდუმარება. ბუდე დროებით მიუწვდომელია, გული გრძნობს, რომ გაზაფხული კვლავ დადგება, შინ ყველა დაბრუნდება.

ჩემი სოხუმი მოწყენილია შვილების გარეშე. თითქოს მარტოა. დგას და გაჰყურებს ზღვას, რომელიც ცისფერი, ცრემლისფერი ტალღებით ეფერება და ანუგეშებს.

„საზღვარი“ აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ძალით გაავლო მტერმა. ჭრილობას მარილს აყრის, მავთულხლართის „ბაწრით“ ექაჩება დაგლეჯილი საქართველოს ნაფლეთებს, რომ იარა უფრო ატკინოს „უძლურ ჭირისუფალს“, შორიდან აყურებინოს მოტირალსა და ხელაპყრობილს მფარველი ცისკენ, საოცნებო სამკვიდროსაკენ.

მაგრამ ბაწარი (მავთულხლართიც კი!) ადვილად გასაჭრელია, თუ უფალი გვერდითაა.

როგორც ეკლესიაში სანთელს ხელს ვაფარებთ და ვეფერებით, რომ არ ჩაგვიქრეს, ისე სჭირდება ჩვენს სამშობლოს მოფრთხილება...

ვალდებულნი ვართ, დედასაქართველოს დავუბრუნოთ წართმეული შვილი.

ანი ვეკუა

ეს არის ჩემში და ჩვენში: სისუსტე, უსუსურობა, დაუცველობა. მის ხსენებაზე ყელში ბურთი მეჩხირება, ტვინში სისხლი მექცევა.

გამომგლიჯეს ხელიდან ჩემი თბილი, მყუდრო სამყოფელი - რაც შენი იყო, უკვე ჩვენიაო.

დაუსრულებლივ ვიქნევ ხელებს ჰაერში, სიცარიელეში, არაფერში, იქნებ, რამეს მოვეჭიდო-მეთქი, მაგრამ მეტისმეტად პატარა და უძლური ვარ..

აზრი არა აქვს...

ყველაზე დამთრგუნველი ისაა, რომ ეს უბრალო „ ჩემია-შენია“ დავა არ არის.

რაც უფრო მეტს ფიქრობ, მეტს ხვდები, მეტი გტკივა, მეტად უიმედო მდგომარეობაში ვარდები, აცნობიერებ, რომ სრულიად უძლური, უუნარო ხარ და ისღა დაგრჩენია, ელოდო ღვთის იმ სასწაულს, რომელიც მისთვის ერთი სიტყვაა, ჩვენთვის კი - დაუსრულებელი წინადადება მრავალწერტილით...

ვერ მოგიფრთხილდნენ შენ, ფიფქისფერს...

მარიამ შენგელია

ზმანებას დამსგავსებია ოდესღაც ცხადში ხილული.

შორეული ოცნების შარავანდედი შეუმოსავს სიჩუმეში გარინდებულს.

დუმს, შეუპყრია ფიქრს, ათასგზის გახელებულს.

მასთან ერთად ვდუმვარ მეც. ვფიქრობ მეც.

დარდიანო, არ მოგიფრთხილდნენ შენ, ფიფქისფერს...

რიდით დამფრთხალი ვარდისფერი კი გაურბოდა ღაწვებს, შესაფაკლს. გამარილებულმა თვალმარგალიტმა ვერაფერი დააკლო კისერს, აბრეშუმივით ნაზს, ცად წაგრძელებულს...

გული კი ელის გაზაფხულს, როგორც მთვლემარე ორქიდეა - გამოფხიზლებას არნახულს.

სავსეა მთვარე, რომელსაც ვერ ვხედავ. შენთან ვხედავდი, ყოველი სარკმლიდან მშვიდს და ხიბლიანს.

დღეს ჩემი ცა ვითომ უღრუბლოა, როგორც შენი ბედნიერებისას.

გაყუჩულო, ნამი გისველებს ბალახებს, კოხტად გაკრეჭილს. კოპწია ცრემლები კიაფობენ მარადმწვანე ფოთლებზე,

დედის იავნანაო! მწუხრის ჟამს ბინდი გადაგკრავს თეთრო, ცისფერო, წმინდაო. ნელი სურნელით მოვილტვი შენკენ, ლაჟვარდო ღმრთისაო.

მარიამ ჯიბუტის ავტოგრაფი

მე რომ აფხაზეთში მეცხოვრა



ირაკლი კაკიტაძე

არასდროს მიფიქრია ამაზე, მაგრამ მე რომ აფხაზეთში მეცხოვრა, ჩემი ცხოვრება, ალბათ, უფრო ზღვიანი იქნებოდა.

აფხაზეთში არასდროს ვყოფილვარ, ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ეს მხარე ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, ყოველთვის მიმიწევდა გული მისკენ.

ჩემთვის დღეს აფხაზეთი არის შავი ნაპირი შავი ზღვის პირას, ოდესღაც სავსე ჭკვიანურად მშვიდი, მაგრამ გულში ცეცხლდანთებული ხალხით... მაგრამ რატომღაც მზეს ვერ ვხედავ აფხაზეთისას...

აფხაზეთის ხსენებაზე, ყოველთვის ბაბუა მახსენდება. წლევანდელი აპრილი ჩემთვის ყველაზე საშინელი აღმოჩნდა - დამტოვა ბაბუამ, ადამიანმა, რომელიც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

ყოველთვის ვცდილობდი, თავი მომეწონებინა , დამემსახურებინა მისი შექება. ვცდილობდი არ მეტირა, არ ვიცი, რატომ, ალბათ, არ მინდოდა, ჩემი ცრემლები სხვას დაენახა. რამდენჯერმე მაინც ვერ შევიკავე თავი. ერთხელ, როცა ბაბუას სურათს ვაკვირდებოდი, მივხვდი, რომ მისი სიცილი მქონდა... ვეღარ შევიკავე თავი...

ბაბუაჩემი ყველას უყვარდა, ჩვეულებრივი კაცი არ იყო, ყოველთვის მაოცებდა ქცევით და გონებით. ყველაფერში თავისებური იყო, ყველაფერზე განსხვავებული აზრი ჰქონდა.

მე და ბაბუას არ გვქონდა ახლო ურთიერთობა, თითქმის არ ვლაპარაკობდით, ალბათ, არც იყო საჭირო, მისი ყველა საქციელი მესმოდა, ჩემი ყველა საქციელი ესმოდა. აქ სიტყვები არ იყო საჭირო.

ყოველთვის მიხაროდა, როცა რამე დავალებას მომცემდა, ბოლომდე თქმას არც ვაცდიდი, ისე მივრბოდი გასაკეთებლად, მაგრამ ყოველთვის არასწორი გამომდიოდა. ამის გამო არასდროს მსაყვედურობდა, როცა დაინახავდა, რაც გავაკეთე, გაიღიმებდა, გამოასწორებდა და მეტყოდა, „ბოლომდე თქმა მაინც მაცადეო“... ამ სიტყვებზე თავს ვუბრაზდებოდი და ვფიქრობდი, რომ ცუდი შთაბეჭდილება დავტოვე, სინამდვილეში კი უხაროდა, რომ ვცდილობდი... ყოველთვის უნდოდა, ყველაფერი ჩემით გამეკეთებინა.

მისი დაკარგვით ეს ყველაფერი დავკარგე, უკვე არავინ დარჩა, ვისაც მინდა თავი მოვაწონო, დავანახო ჩემი გაკეთებული საქმე. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ მივხვდი, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის და რამდენად დიდი ადგილი ეჭირა ჩემს გულში. ყოველთვის უყვარდა, როცა მის გარშემო ტრიალებდა მთელი ოჯახი. ცარიელ სახლს ვერ იტანდა. იმ საშინელ საღამოსაც მამაჩემს უთხრა, მაინცდამაინც უნდა მოვკვდე, რომ ჩამოხვიდეთო... რამდენიმე საათში შემოდის ზარი და გვატყობინებენ, რომ დაგვტოვა.

კიდევ იმდენი მაქვს სათქმელი... კიდევ ერთხელ დავკარგე აფხაზეთი...

ილორის მისტერიებით შთაგონებული მხატვარი

პირველი გვერდიდან

ამირან კუპრავას ამ დღეებში ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის, აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის მხატვართა კავშირის 2016 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭა ნაწარმოებისთვის „ილორის ფრესკა“. მისთვის ილორის ტაძარი მარტოოდენ დღევანდელობის სევდა კი არა, ბავშვობის განუყრელი მოგონებაც არის თურმე. „ჩემი ბებო, დედის დედა, აფხაზეთიდან ყოფილა. მახსოვს, დედაჩემი გვიყვებოდა, საჯაიას ქალი იყოო სააფხაზოდან. იქ კი ილორის ტაძარიაო, ყველაზე დიდი სალოცავი დასავლეთ საქართველოში. ყოველი ამ საუბრის შემდეგ იდუმალების ბურუსში ეხვეოდა ჩემთვის ეს ტაძარი და მთელი აფხაზეთი“.

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერშიც ვწერდით, ამირან კუპრავა ამჟამად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან (მისივე თქმით მინისტრ დიმიტრი ჯაიანის თანადგომით) შექმნილი ორი მხატვრის სახელოსნო-სალონში - 2- ART არის დამკვიდრებული და (მხატვარ დავით ბაძაღუასთან ერთად) ქმნის ნამუშევრებს. ის საოცრად საინტერესო მოსაუბრეცაა, ღრმად გახედებს თავისი პოეტურ-

მხატვრული სამყაროს შორეულ წიაღში. გთავაზობთ მხატვარ ამირან კუპრავასთან სახელოსნო-სალონში - 2- ART გამართულ საუბარს.

- ***ბატონო ამირან, მოდით, ჩვენი საუბარი ტრადიციული შეკითხვით დავიწყოთ: როდის და როგორ მოხვედით მხატვრობაში?***

- ამაზე ხშირად ვყვები ხოლმე და ახლაც გავიმეორებ: როგორც ბავშვების უმეტესობამ, ისე მეც ადრეული ასაკიდან დავიწყე ხატვა. სკოლაში ჯერაც არ დავდიოდი. ზამთარი იდგა და შვიდივე და-ძმა სახლში ვიყავით შეყუჟულები. მე ფანჯრის დაორთქლილ მინაზე თითით რაღაც დავხატე. მოგეხსენებათ, ცოტა ხანში რაც მოხდებოდა, სითბომ ჩემი ნახატი ჩამოღვენთა და წაშალა. მახსოვს, ეს ძალიან განვიცადე და ვიტირე. მერე დედა შემპირდა, ოღონდ, ნუ იტირებ და სახატავ ფურცლებს, ფერად ფანქრებს და საღებავებს გიყიდიო... ასე დაიწყო ყველაფერი...

- ***მაშინ ფანქრის მინაზე რა დახატეთ, თუ გახსოვთ?***

- კი, როგორ არა, შოთა რუსთაველის პორტრეტი დავხატე.

- ***რამდენი წლის იყავით?***

- ალბათ, ხუთის.

- ***„დიდობაში“ არ გიცდიათ შოთა რუსთაველის პორტრეტის დახატვა?***

- შოთა რუსთაველის პორტრეტის დახატვა არა, მაგრამ შევეცადე, ინსტალაციის სახით გადმომეცა მაშინდელი განცდა და განწყობა: ძველმოდური ფანჯარა, რომელზეც ძველი გასაღები ჰკიდია. ფანჯრის მინის მიღმა კი ტილოზე ბავშვის მიერ სველ მინაზე თითით ხატვის ასოციაციით გაჩენილი განცდა და განწყობა იკითხება,.. ირგვლივ მდუმარებაა, მუქი ლურჯი ღამე... ინსტალაცია მივუძღვენი იმ დროს და მან ჩემთვის შოთაც დაიტია და მაშინდელი ემოციებიც.

ეს ინსტალაცია ჩემი ფუნდამენტური ნამუშევარია და როცა ფოთში სახელოსნოს მოწყობას დავასრულებ, ის იქ დაიდებს ბინას. საერთოდაც, ფოთში მინდა გავხსნა სახელოსნო, სადაც ბავშვებს ვასწავლი მხატვრობას. ამასთანავე, მინდა, ბიენალესავით პატარა ორგანიზაცია ჩამოვაყალიბო და მთელი დასავლეთ საქართველოს მხატვრები მოვიწვიო. ფოთში ყოფნა მასაზრდოებს, ეტიუდებს მკარნახობს, ჩემი ადგილის დედაა და უთუოდ, იმიტომ. ჩემს ახალგაზრდობას ვიხსენებ, ნიკოლაძის სასწავლებელში ფოთიდან ერთდროულად 13 ბავშვი მოვეწყვეთ. მაშინ ფოთში ძალიან კარგი სამხატვრო სკოლა არსებობდა. ეს დიდი აბავი იყო და ხუმრობით ამ პროცესს „ფოთელების შემოსევა“ დაარქვეს კიდეც. მათგან ყველა მხატვარი ვერ დადგა, მაგრამ ისინი ძალიან კარგი პედაგოგები არიან.

- ***ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სად წახვედით?***

- ჯარში წავედი. ეს მაშინ აუცილებელი იყო, სავალდებულო სამსახურად მიიჩნეოდა. ჯარში წასვლამდე ფოთში ვმუშაობდი პედაგოგად, ჯარის შემდეგ თიანეთის რაიონში. 10 წელი გავიდა. ამ შუალედში გამუდმებით ვაბარებდი მისაღებ გამოცდებს სამხატვრო აკადემიაში, მაგრამ სულ რაღაც ნახევარი ქულა მაკლდებოდა. ეს იმიტომ, რომ მაშინ კონსერვატორიაში და სამხატვრო აკადემიაში ჩაბარება ძალიან მოდური იყო. ცოტა არ იყოს, პატრონიც უნდა გყოლოდა. ბოლოს როგორც იქნა ჩავაბარე.

- ***თქვენი სათქმელი და ფერი როდის იპოვეთ?***

- ამის ზუსტად თქმა ძნელია. ქრონოლოგიურად რომ მოვყვე, ძალიან მიყვარდა ვან გოგი. მოგეხსენებათ, რა ფერების ზეიმია მასთან, მიუხედავად იმისა, როგორი დრამატული და ტრაგიკული პიროვნება იყო. იმ ფერთა ყვირილში, კარგი გაგებით, რასაკვირველია, მხატვარი მაღალ ჰარმონიულ ნოტებს იღებს და საოცარ სიმაღლეს აღწევს. ვან გოგი მიყვარდა მისი წერილების გამოც. ეს ხდებოდა ახალგაზრდობის, სტუდენტობის პერიოდში, როცა მოგწონს და გიყვარს როგორც იმპრესიონისტები და პოსტიმპრესიონისტები, ისე კლასიკოსები. მაგრამ ეტყობა, ცხოვრებას თავისი მიაქვს, მიედები, მოედები, რაღაცებს აკეთებ, ეძებ და ბოლოს რჩები საკუთარ თავთან. საკუთარი თავის პოვნა ძალიან ძნელია, ეს თვითონ უნდა მოვიდეს. როგორც იტყვიან, წყალნი წავლენ და

წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო... ამის შემდეგ მოდის შენი ფერებიც...

ზემოთ საკუთარი თავის პოვნაზე ვლაპარაკობდი, როცა ეს მოხდება და საკუთარ თავთან მარტო დარჩები, აღმოაჩენ, რომ შენი ბავშვობა, მაშინდელი განცდა-განწყობა ისევ შენთან არის. სხვანაირად შეუძლებელია. მართალია, ასაკი გემატება, მაგრამ შენში რაღაც ღვინდება, ცოტ-ცოტა ყველაფრისგან თავისუფლდები, მათ შორის გავლენებისაგან და პირველ საწყისს უბრუნდები... თუმცა ეს დაგროვილი ცოდნისაგან გათავისუფლებას არ ნიშნავს, პირიქით, რაც მეტი ინფორმაცია გაქვს მიღებული, რაც მეტ მხატვართან გაქვს სულიერი კავშირები, მით უფრო ბედნიერი ხარ, მით უფრო განათლებული და მოაზროვნე მხატვარი ხარ.

- ***თქვენს შემოქმედებაში არის ერთი განსაკუთრებული ფერი - ჭაობისფერი, რაღაცნაირად მელანქოლიური და სევდისმომგვრელი. როგორც თქვენ ამბობთ, ეს კოლხეთთან ასოცირებული ფერია. როდის და როგორ შემოიჭრა ეს ფერი და სათქმელი თქვენს შემოქმედებაში? იმ დროიდან ხომ არ მოგსდევთ, როცა თბილ ოთახში და-ძმებთან ერთად შეყუჟული ფანჯრის დაორთქლილ მინაზე ათას რაღაცას ხატავდით?***

კიდევ ერთი, ბოლომდე ვერავინ პასუხობს, რატომ არის მეგრული სიმღერა ასე განსაკუთრებულად სევდიანი. ამ სევდიან მელოდიას ახლა თქვენი ჭაობისფერი გამოხატავს და ეხმაურება თითქოს. და შესაძლოა, ამას მეგრული სევდიანი სიმღერის მხატვრობაში გადმოტანაც დავარქვათ?

- რასაკვირველია, იქიდან მომყვება. დედა, როგორც თავის წიწილებს, ისე მოგვაქუჩებდა ერთად და გვიყვებოდა ზღაპრებს, თქმულებებს თუ მითებს, რითაც ასე მდიდარი იყო ოდითგან

გაგრძელება მე-10 გვერდზე

კოლხური მისტერიებით შთაგონებული მხატვარი

მე-9 გვერდიდან

სამეგრელო, მისი სოფელი სალხინო, მარტვილის რაიონში. ვინც დასავლეთ საქართველოს, განსკუთრებით სამეგრელოს იცნობს, აუცილებლად სმენია მითები და ზღაპრები ტყაში მაფებსა და ოჩოკოჩებზე, ათასნაირ მისტერიაზე. როცა ამ ყველაფერზე ბავშვობაში გიყვებიან, განსაკუთრებული ხატებები გებადება... მერე ამას თან დართული კოლხური წვიმიანი ამინდები, თავისი ჭაობით, სევდით, მონატრებული მზით... იმდენად დიდ სამყაროს გიქმნის ბავშვს, რომ წარმოუდგენელია, დიდობაში ეს შთაბეჭდილებები გაქრეს, რაღაცაში არ გამოვლინდეს და არ გარდაისახოს, მით უმეტეს, თუ მხატვარი, პოეტი ან მწერალი ხარ. თუმცა, შეიძლება არც ერთი არ გამოხვიდე, მაგრამ ბედნიერი ბავშვობის გამოძახილი რჩება შენში და შენს ინტელექტზე აისახება. როცა ასეთი სულიერი საზრდო გაგაჩნია, ზედაპირული ვერ იქნები.

ჩემს შემოქმედებაშიც უთუოდ იქიდან მოდის ჭაობისფერიც და ის ტიპაჟებიც, რომლებიც კონკრეტულად არავის უნახავს. ისინი გზადაგზა თქმულებებიდან, წარსულიდან გადმოდიან თითქოს, მოდიან შენთან და გაწუხებენ - დაბადება უნდათ. ამ დროს უნდა უშველო, ეს კი დამოკიდებულია იმაზე, როგორი ამინდია, როდის მომწიფდა სათქმელი შენში და როდის იწყებ მათ ტილოზე გადმოტანას. ბუნებრივია, თქვენეული ასოციაციაც, შესაძლოა ამ ყველაფერს მეგრული სევდიანი სიმღერის მხატვრობაში გადმოტანის მცდელობაც დავარქვათ.

- ჭაობისფერით თქვენ ასევე გადმოსცემთ სევდას თითქმის უკვალოდ გამქრალი კოლხური ცივილიზაციის გამო? იმის გამოც, რომ არათუ ძალიან ცოტა რამ ვიცით ამ უნიკალურ ცივილიზაციაზე, არამედ გაურკვეველი პოლიტიკის წყალობით, არც ვცდილობთ, უფრო მეტი ვიცოდეთ.

- როცა გერმანიდაან საქართველოში ვბრუნდებოდი, თან მსდევდა აზრი, რა გინდა შენ ევროპიდან საქართველოში რომ ჩამოდიხარ? თან მახსენდებოდა კონსტანტინე გამსახურდიას ურთიერთობა ტაია შელიასთან. - მე ბევრი პროფესორ-მასწავლებელი მასწავლიდა, მაგრამ თქვენისთანა ფილოსოფოსი ჯერ არ შემხვედრია, - ეუბნება ტაია შელიას კონსტანტინე გამსახურდია. მე ყოველთვიას ვმუშაობდი კოლხურ თემაზე, მაგრამ მოკრძალებულად, ახლა კი უფრო მეტი მასშტაბები მივეცი მას. ყველა მხატვარს აქვს უფლება, თავისი თეორია ჰქონდეს და ამტკიცოს. მათ შორის ვარ მეც. ქართულ ენაში არსებობს სიტყვა - ყველაფერი. ბევრ მხატვარს უჩნდება სურვილი ყველა ფერის გამოყენების. ჩემთვის ყველა ფერი მხოლოდ ფერთა ჟღერადობას აღნიშნავს. იმ ნაცრისფერ-ჭაობისფერში შეიძლება იმდენად ყველა ფერი ჩაატიო, რომ უსაზღვროდ მრავლისმთქმელი იყოს. მე ვერ ვხედავ ამა თუ იმ მითოლოგიური ნაწარმოების ეფექტური ფერებით შესრულების აუცილებლობას. ამ ფერში ვხედავ კოლხეთსაც, კოლხ მედეას, არგონავტებს. ამავე დროს ურთულესია ამ ყველაფრის ამ ფერით გადმოცემა.

ძალიან მინდა გავაკეთო ერთი დიდი ტილო (2 მეტრიანი, ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლები) და იყოს ჭუჭყიანი, ჭაობისნაირი, რაღაც უცნაური, მაგრამ იყოს ფერწერა და დამაჯერებელი, ფერს ჰქონდეს მთავარი დატვირთვა და ძალა. ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ სასურათე სიბრტყე და არანაირი ფიგურანტული და კონკრეტულად აბსტრაჰირებული რამ. რაღაც სიბრტყე, რომელიც მოაგონებს ვინმეს კოლხეთს, წვიმიან ამინდს, სევდიან განცდას.

- თქვენს ნამუშევრებს კოლხეთის სერიიდან მყიდველები გერმანიაშიც არ აკლდა. როგორ ფიქრობთ, რა ხიბლავდათ მათ ამ ნამუშევრებში?

- განსაკუთრებით დამახსომდა ის ეპიზოდი, როცა ერთმა გერმანელმა ქალბატონმა ,,მესეფენის" ციკლიდან 5 ნამუშევარი შეიძინა. ნამუშევრები ეკლესიაში იყო გამოფენილი. ეს ქალბატონი პოლიტიკოსია, იურისტი, თანაც მეზღაპრე. ყოველ დილით რადიოში ისმინება მისი ზღაპრები. იმ ხუთ სურათში, რომლის ცენტრალურ სურათს წარმოდგენს ,,გერიში გიმახვინჯი" (მგელზე მჯდომარე), ქალბატონმა 13 ათასი ევრო გადამიხადა (მაშინ ეს სოლიდური თანხა იყო). მან ამ ნამუშევრების ერთობლიობა აღიქვა მისტიკურ სამყაროდ, რომელიც შეიძლება ჯერ კიდევ დაინახოს ადამიანმა წარსულის ლანდებიდან. სურათების შეძენის შემდეგ ქალბატონმა სახლში ავეჯი გამოცვალა, ამ ნამუშევრებს არ უხდებაო. არადა, არაჩვეულებრივი ავეჯი ჰქონდა.

- თქვენი ,,გერიში გიმახვინჯი" (მგელზე მჯდომარე) ქალი კოლხ მედეასთან ხომ არ ასოცირდება? მედეა მისი ერგვარი პროტოტიპი ხომ არ არის?

- რასაკვირველია, ეს ქალიც მედეაა. მე ცალკე მედეაც მაქვს დახატული, რომელიც ჩემს ბოლო ალბომში „მეტამორფოზი" შევიდა, მადლობა ღმერთს, რომ „მედეა" ქართველმა იყიდა და საქართველოშია. საერთოდ კი, ვიტყვი, რომ მედეას მისტერიიდან იწყება ჩვენი ისტორია, იქ იღებს სათავეს. ის, რომ მედეას შეეძლო სამკურნალო მცენარეების გამოცნობა და მათგან საოცარი წამლების დამზადება, ეს უკვე დიდ მისტიკას ნიშნავდა და დღემდე სჯერათ კოლხებს ამ სასწაულების. კოლხურ მისტერიებზე მუშაობას ერთი სიცოცხლე არ ეყოფა, ეს სულ სხვა სამყაროა, ეს კლასიკაა.

- თქვენ 20 წელიწადი ცხოვრობდით გერმანიის დედაქალაქ ბერლინში და ევროპული კულტურის წიაღში მიმდინარე პროცესებს შიგნიდან აკვირდებოდით. ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ხოლმე კულტურათა დიალოგზე, იქიდან, იმ გადასახედიდან როგორ აღიქმებოდა ეს პროცესი?

- მე იქ ძალიან ღრმად მოაზროვნე და საინტერესო მეგობრები - მწერლები, მხატვრები, ექიმები... მყავდა და ჩვენც ვსაუბრობდით ხოლმე ამ თემაზე. როდესაც თბილისში მქონდა ბოლო პერსონალური გამოფენა, აქაც ითქვა ამაზე. მხატვარმა რადიშ თორდიამ და სხვებმა აღნიშეს, რომ ჩემს მხატვრობაში არის გერმანული და კოლხური კულტურის სინთეზი. ბედნიერი ვიყავი, რომ ეს დაინახეს.

რას ნიშნავს ევროპული კულტურის მიღება? შენ, შესაძლოა, აზიური კულტურაც მიიღო და სხვა კულტურებიც, რა დოზითაც ეს დასაშვებია და საბოლოოდ გამოიკვეთოს საინტერესო სინთეზი. ხელოვნება ვერასოდეს განვითარდება კარჩაკეტილ სივრცეში. იქ ხშირად მახსენდებოდა სურათი, რომ ჩვენი წინაპრები სხდებოდნენ ეტლში და მიდიოდნენ სასწავლებლად პეტერბურგში, საფრანგეთში, გერმანიაში... და რამდენი წვალება სჭირდებოდათ ამისთვის. მათი ნატვრა იყო, კულტურა, განათლება მიეღოთ ევროპაში და განსწავლულები დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. დღეს კი ძალიან ბევრი ქართველი მიდის საზღვარგარეთ და საერთოდ, არ ახსენდებათ, რა შეიძლება ისწავლონ.

წარმოიდგინეთ, რომ არ ვიცოდი გერმანული ენა და 6 თვეში ავლაპარაკდი, უფრო სწორად, უკვე მესმოდა. ეს მათთვის გასაკვირი იყო, არადა, თარჯიმანის მეშვეობით უცხოელთან საუბარი არაფრის მომტანია. ასე ნელ-ნელა, ენიდან იწყებ აქამდე შენთვის უცხო ერის კულტურის შესწავლას, ამას ემატება თავისთავად მუზეუმების, ხელოვნების ნიმუშების ნახვა... აღქმა, რამ გამოიწვია პროტესტი, რის ნიშნად შეიქმნა გერმანული იმპრესიონიზმი და ა.შ. მერე უცებ, პროკურორი ქალბატონი, რომელიც თავად წერს ზღაპრებს, ყიდულობს შენს ნამუშევრებს კოლხური თემატიკიდან. რამდენად მისაღები აღმოჩნდება მისთვის კოლხური მისტიკა, ეს არის შენთვის ზუსტად ამ ორი კულტურის შერწყმისა და დაკავშირების, აღქმის ნიშანი. აქ იწყება რაღაც ახალი და საინტერესო. და ეს საინტერესო, რაც დაიწყო, მინდოდა უკვე საქართველოში ჩამოვსულიყავი და იქ განცდილ-ნაფიქრალთან ერთად აქ გადამეხარშა, გავრკვეულიყავი, ბოლოს და ბოლოს ვინ ვარ მე. რასაკვირველია, აქ არ იგულისხმება მარტოოდენ მისტიკური სამყაროს ხატვა და მისთვის თხრობითი ხასიათის მიცემა, მისი როგორც ლიტერატურის გადმოცემა. არამედ აქ უმთავრესი უნდა ყოფილიყო ფორმა, შესაძლოა, სულაც აბსტრაქტული და განყენებული, სხვაგვარი, მაგრამ მასში აუცილებლად სული უნდა ყოფილიყო ჩადებული, რაც მთავარია, კოლხური სული. ყოველივე ამის გადმოტანა მხატვრობაში ძალიან ძნელია, მაგრამ მე ამას ჩემი ცხოვრების ჰორიზონტზე ვხედავ.

- მერე ასეთი სულითა და გულით შექმნილი, კონცეპტუალური ნამუშევრების გაყიდვა არ გიძნელდებათ ხოლმე? ხომ არ დაგვისახელებთ ნამუშევრებს, რომლებსაც არასოდეს გაყიდით.

- ისევ კოლხურ თემას მივუბრუნდები და ვიტყვი, ერთ-ერთი ასეთი ნამუშევარია „გერიში გიმახვინჯი", ასევე „ლეღვიანობა"... ყველას ვერც ჩამოვთვლი.

- და „გერიში გიმახვინჯის" ასლი გაყიდეთ გერმანიაში?

- არა, ასლს არასოდეს ვაკეთებ, მისი ერთ-ერთი ვარიაცია იყო.

- საინტერესოა, რატომ ქმნით კონკრეტულად ამ მითის ვარიაციებს? რისი თქმა გინდათ, ან რას ეძებთ?

- მაინტერესებდა, უფრო დიდი ფორმატის ტილოზე რა მოხდებოდა.

- და, რა მოხდა?

- ტილოზე გამოიხატა სულ სხვა ტიპაჟი, რომელზეც ერთმა გერმანელმა მითხრა: ეს ქალი ბევრად უფრო ბრძენია, ვიდრე ის წინა და ეს მისი გამოხედვიდან იგრძნობაო. საერთოდაც, მინდა ამ მითთან დაკავშირებული სტერეოტიპი დაინგრეს და მგელზე მჯდომარე ქალი სიბრძნესთან ასოცირდებოდეს.

- თქვენ ზემოთ ნამუშევრებს შორის, რომელთაც არასოდეს გაყიდით, „ლეღვიანობა" ახსენეთ. რაზეა ეს ნამუშევარი?

- ეზოში ერთი ლეღვის ხე გვედგა, რომელსაც ნაყოფი ნაადრევად ცვიოდა. ერთხელ დედას ვუთხარი: - მოდი, მოვჭრი ამ ხეს, აბა, რად გვინდა, მისი ნაყოფი სიმწიფემდე ვერასოდეს აღწევსმეთქი. - მოჭერი, შვილო, რაც გინდა, ის ქენიო, - მითხრა დედამ. ნახევარი საათის შემდეგ კი დამიძახა და მეუბნება: - იცი, რა გამახსენდა? ჩვენც გვედგა ეზოში ასეთი ლეღვის ხე, მაგრამ მამამ ქვა დაჰკიდა, ჩაუთქვა, მისი ნაყოფიც ქვასავით მაგარი გახდეს, სიმწიფემდე მიატანოსო და მართლაც ასე მოხდაო. ეს აზრი მეც ჭკუაში დამიჯდა და ლეღვის ხეზე ნაჭერში გახვეული ქვა დავკიდე. ყბაახვეული კაცივით იდგა ჩვენს ეზოში ის ლეღვის ხე, რომელიც წლის თავზე მართლა გამოჯანმრთელდა და ახლაც დგას. მერე დავხატე დედა, მწიფე ლეღვებით სავსე ლანგრით ხელში. ნახატს უბრალოდ, „ლეღვიანობა" დავარქვი. ბერლინში მის საფასურად 20 ათას ევროს მთავაზობდნენ, მაგრამ ვერ გავყიდე. ვერასოდეს გავყიდი.

- თუ შეგიძლიათ, გვითხრათ, თქვენს შემოქმედებაში ახლა რა ეტაპია, რას ამბობთ და რისი თქმა გინდათ, რასაკვირველია, კოლხური თემატიკის გარდა, რომელსაც თქვენსავით მასშტაბურად და მრავალმხრივად არავინ შეხებია.

- ამჟამად ვუკირკიტებ 90-იანი წლების ჩანახატებს, რომლებიც ბერლინში შევასრულე. მსუბუქი მუსიკის კონცერტის თანხლებით ვმუშაობ. ახლა ამ ხასიათზე ვარ, ფილოსოფიურ საწყისებზე და სიღრმეებზე არ ვფიქრობ და რაღაც პაუზასავით მაქვს აღებული. მინდა, რომ საზოგადოებას ცოტა სხვა კუთხით შევთავაზო ამირან კუპრავა. ამას ჰქვია ტილოზე შესრულებული გრაფიკა, რაც იშვიათია. ჩვეულებისამებრ, ტილოზე გრაფიკას არ აკეთებენ. აქ ხაზის კულტურაზეა საუბარი. ხაზი, რომელიც ხელაუღებლად იწყება და მთავრდება, უკვე ქმნის კომპოზიციას. ეს ერთგვარი ვარჯიშია ხელის, რომლის დროსაც ძალიან საინტერესო კომპოზიციები ჩნდება როგორც თანამედროვე, ისე რელიგიურ, სამშობლოს მონატრების და ა.შ. თემებზე. მე ხშირად ამა თუ იმ თემას დიდი ინტერვალის, ვთქვათ, 20, 30 წლის შემდეგ ვიმეორებ ხოლმე. მაინტერესებს, ამასობაში რა ტრანსფორმაცია განვიცადე, როგორ აღვიქვამ ადრინდელ თემებს. მე ახლა ამ ეტაპზეც ვარ. დანარჩენს ჩემი ნამუშევრები იტყვიან.

სპორტი

აფხაზეთის დიდი სპორტული ტრადიციების ერთგულნი

*ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში აფხაზეთიდან დევნილი წარმატებული სპორტსმენები და სპორტის მუშაკები, აფხაზეთის უმდიდრესი სპორტული ტრადიციების ერთგული ადამიანები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვეს. დაჯილდოების ცერემონიალს უძღვებოდა **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ვიტალი ბენდელიანი.***

*საპატიო სიგელები გადაეცათ: **ამირან ზუხბაიას, მურად ანჯაფარიძეს, გოდერძი შურღაიას, ლევან ცაგურიას, ამირან ბიწაძეს, ავთო გახოკიძეს, ლია ქაჯაიას, ირმა ხეცურიანს, ნათია ფრუიძეს, ანა მაისურაძეს და ირაკლი ცხოვრებაშვილს.***

*აფხაზეთიდან დევნილ წარმატებულ სპორტსმენებსა და სპორტის მუშაკებს საპატიო სიგელები გადასცეს **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ელგუჯა (გია) გვაზავამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა.** დაჯილდოების ცერემონიალს ასევე ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და ვეტერანი სპორტსმენები.*

ლელა მიქელაძე

აფხაზეთი - ჩვენი სამშობლო, ჩვენი ულამაზესი მიწა-წყალი, ჩვენი საერთო ტკივილი და მონატრება, - ცნობილი იყო უმდიდრესი და უძველესი კულტურული მემკვიდრეობით. ამასთანავე იქ ყოველთვის განვითარების მაღალ საფეხურებს აღწევდა ხელოვნება და მეცნიერება, სპორტი, რომელიც უმდიდრეს ტრადიციებს ამკვიდრებდა. აფხაზეთის სპორტსმენებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ ქართული სპორტის განვითარებასა და წარმოჩენაში ეროვნულ თუ საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. ისინი განსაკუთრებული შემართებით იცავდნენ საქართველოს სპორტულ ღირსებას ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოს, ევროპის და ეროვნულ ჩემპიონატებზე. მარტო ის რად ღირს, რომ საქართველოს ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენად ჩვენი თანამემამულე, მძლეოსანი ვიქტორ სანეევია აღიარებული.

დღეს ეს ყველაფერი საქართველოს ამ ძირძველი კუთხის - აფხაზეთის დიდი სპორტული ისტორიაა, ლამაზ ხიდად გადებული წარსულსა და აწმყოს შორის, რომელზეც ღირსეულად უნდა გაიარონ თაობებმა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით და ამავე სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით, აფხაზეთის გამოჩენილი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკთა მიღწევების აღსანიშნავად, მათი მოღვაწეობის დაფასების და აფხაზეთის საზოგადოებისთვის წარმოჩენის მიზნით, უკკვე მეორე წელია, საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთის ვეტერან სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა და მოქმედ წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოების ტრადიციას.

შარშან ამ ჯილდოს პირველი ნომინანტები გახდნენ სპორტის აფხაზეთის მხცოვანი მუშაკები, რომელთა პედაგოგიური და სპორტული საქმიანობა აფხაზეთის სპორტის განვითარებაში, თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია. ესენი იყვნენ: შოთა გვილავა, ოთარ ვახანია, გივი (ვოლმარ) ხოჭოლავა; მოქმედი სპორტსმენები: გოგიტა არქანია, ბაადურ ჯობავა, რომლებიც ეროვნულ თუ საერთაშორისო სპორტულ

სარბიელებზე მაღალი სპორტული შედეგებით გამოირჩევიან.

წლეულს კი საპატიო დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ:

ამირან ზუხბაია - აფხაზეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი. ამირან ზუხბაიამ დევნილობის პირველი დღეებიდანვე ენგურს გამოღმა შეძლო, ჩამოეყალიბებინა აფხაზეთის სპორტის სამსახური. მან მოიძია დევნილი სპორტსმენები, სპორტის მუშაკები, თვითონ დევნილი ეხმარებოდა მათ, მიჰქონდა დარბაზში შეშა, რომ სპორტსმენებს სითბოში ევარჯიშათ, საკუთარი ჯიბიდან შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა თავის თანამშრომლებს. სწორედ მისი ძალისხმევით თანდათან შეიქმნა აფხაზეთის სპორტული ფედერაციები, აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრი.

მურად ანჯაფარიძე - აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ღირსების ორდენის კავალერი. მან თავიდანვე შემოიკრიბა აფხაზეთიდან დევნილი მწვრთნელები, სპორტსმენები. მისი დიდი მონდომებით შეიქმნა აფხაზეთის საფეხბურთო გუნდები როგორც დიდებში, ისე ბავშვებში, რომლებიც წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა სახის ჩემპიონატსა და ტურნირში.

გოდერძი შურღაია - აფხაზეთის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი, აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი, 2001-2008 წ.წ. საუკეთესო მასწავლებელი, პრეზიდენტის სტიპენდიანტი. გოდერძი წლების განმავლობაში ეწეოდა და ახლაც წარმატებით აგრძელებს აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას, მან ჩამოაყალიბა კალათბურთელთა გუნდი, მონაწილეობდა მხიარულ სტარტებში, არის „სახალისო ფეხბურთის - ღია სკოლები საქართველოში“ პროექტის მონაწილე.

ლევან ცაგურია - საქართველოს ელჩი ტურიზმის განვითარებაში იაპონიაში, შპს „ნატურალ პლიუს ჯაპან“ (იაპონია) დირექტორი, სუმოში უმაღლესი დივიზიონის „მაკუჯის“ კომოსუბის ტიტულის მფლობელი, სხვადასხვა დივიზიონებში იმპერატოსის თასის ოთხგზის ჩემპიონი, მიღებული აქვს უმაღლესი საპრეზიდენტო ჯილდო „ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი“ სპორტული მიღწევებისა და საქართველო-იაპონიას შორის ურთიერთობის განვითარებისათვის.

ამირან ბიწაძე - ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი კარატეში, „რინგსის“ ბრძოლა წესების გარეშე მსოფლიოს ჩემპიონი, საქართველოს „კიოკუშინკაი“ კარატეს ვიცე-პრეზიდენტი.

ავთანდილ გახოკიძე - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძალოსნობაში, სსრკ სპორტის ოსტატი ძალოსნობაში.

ლია ქაჯაია - ვეტერანი კალათბურთელი, წარსულში აფხაზეთისა და საქართველოს ნაკრების კაპიტანი; დაჯილდოებულია სპეციალური პრიზებით: საუკეთესო მცველი, გამთამაშებელი, ბომბარდირი; კლუბ „სოხუმის“ მწვრთნელი.

ნათია ფრუიძე - კარატეში შავი ქამრის მესამე დანის მფლობელი, საქართველოსა და საერთაშორისო დონის მსაჯი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი კარატეში და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, 2015-2016 წლების მსოფლიოს ჩემპიონი, 2016 წლის მსოფლიოს თასის მფლობელი.

ირმა ხეცურიანი - ფარიკაობაში მსოფლიოს თასის მფლობელი, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი, რიოს 2016 წლის პარაოლიმპიური თამაშების მონაწილე.

ანა მაისურაძე - საქართველოს საუკეთესო ქალი კალათბურთელი 2014-2015 წ.წ.

ირაკლი ცხოვრებაშვილი - ძალისმიერ სპორტში ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მფლობელი, აზიის ღია გათამაშების ჩემპიონი, ევროპის რეკორდსმენი წოლჭიმში შედეგით 222,5 კგ.

აფხაზეთიდან დევნილმა ამ ადამიანებმა ღირსეული სახელი დაიმკვიდრეს ქართული სპორტის ისტორიაში, მათი სპორტული მიღწევები მაგალითია მომავალი თაობებისთვის, ამასთანავე მნიშვნელოვანია მათი პედაგოგიური საქმიანობა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში.

„ევროპული არისტოკრატიზმისა“ და „აღმოსავლური რაინდული კეთილშობილების“ განსახიერება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო მალე გამოსცემს სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის მიერ მომზადებულ ალექსანდრე შერვაშიძის ნამუშევრების ალბომს. ალბომს წინ უძღვის წინასიტყვაობა, რომელსაც მხატვრის რამდენიმე ნამუშევართან ერთად წარმოგიდგენთ.

ალექსანდრე შერვაშიძე - აფხაზი სცენოგრაფი, მხატვარი, წიგნის ილუსტრატორი, ხელოვნების კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე დაიბადა ყირიმში ქ. ფეოდოსიაში 1867 წლის 24 დეკემბერს.

ალექსანდრე შერვაშიძე აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ძმისშვილი იყო. მამა – რუსეთის არმიის ოფიცერი კონსტანტინე გიორგის ძე შერვაშიძე, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ქართველ თავად–აზნაურთა 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო რუსეთში გადაასახლეს. 1866 წლის აფხაზეთის აჯანყების შემდეგ კი შერვაშიძეთა ოჯახს აეკრძალა სამშობლოში დაბრუნება. კონსტანტინე შერვაშიძე და მისი ფრანგი მეუღლე ყირიმში, ქ. ფეოდოსიაში დამკვიდრდნენ, სადაც შეეძინათ პირველი ვაჟი ალექსანდრე. განათლება ალექსანდრემ ჯერ სახლში, შემდეგ ნიჟეგოროდის კადეტთა კორპუსსა და კიევის რეალურ სასწავლებელში მიიღო, თუმცა სამხედრო კარიერაზე უარი თქვა. აღსანიშნავია, რომ კიევში მან დაიწყო ხატვა პეტერბურგის ხელოვნებათა აკადემიის ლაურეატებთან – ი. სელეზნიოვსა და ა. პრახოვთან. 1891 წლიდან მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა თავისუფალ მსმენელად.

1895 წელს, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, პარიზში გაემგზავრა და ფერნან კარმონისა და ჟულიანის სახელოსნოებში განაგრძო სწავლა. აქ იგი ეცნობა მუზეუმებში დაცულ ნამუშევრებსა და თანამედროვე ფრანგულ ხელოვნებას. ხდება პარიზის „რუსული მხატვრული წრის“ წევრი და მიმდინარეობა „ხელოვნების სამყაროს“ ("Мир искуство") მონაწილე (1895-1899 წწ.). ინტენსიური კავშირი აქვს პარიზის სახელოვნებო-ლიტერატურულ წრეებთან. მეგობრობს რ. გილთან, ა. გოლსტეინთან, ა. ბენუასთან, ვ. სეროვთან, ა. ტოლსტოისთან, ნ. რერიხთან, ვ. ბრიუსოვთან, კ. ბალმონტთან და სხვ. ამ პერიოდში ხატავს დაზგურ სურათებს, უმეტესად, პორტრეტებს: „უცნობი ქალის პორტრეტი“, „მეუღლის პორტრეტი“, „ავტოპორტრეტი“, „მეგობრები“, „ღამე ახლოვდება“, „ბაღში“. აქტიურად მონაწილეობს რუს მხატვართა პარიზულ გამოფენებში. 1899 წელს გრაბართან და სეროვთან ერთად ბრუნდება პეტერბურგში. ამავე დროს, როგორც პარიზელ მხატვართა კომიტეტის „მონპარნასის“ წევრი, პერიოდულად მიემგზავრება პარიზში და მონაწილეობს გამოფენებში (1904-1906, 1911-1912 წწ).

1906 წლიდან ალექსანდრე შერვაშიძე პეტერბურგის საიმპერატორო ოპერის თეატრის დეკორატორად იწყებს მუშაობას და ამ დროიდან იწყება მისი, როგორც თეატრის მხატვრისა და სცენოგრაფის შემოქმედება. საერთო ჯამში ალექსანდრე შერვაშიძემ 50-ზე მეტი სპექტაკლი გააფორმა რევოლუციამდელ რუსეთში. მისი დადგმები იმთავითვე „ახალი თეატრის“ ექსპერიმენტებს, ჯერ ვ. მეიერჰოლდს, მოგვიანებით – ნ. ევრეინოვსა და ს. დიაგილევს, უკავშირდება. „ახალი თეატრის“ ტენდენციები – მაყურებლისა და ქმედების, დარბაზისა და სცენის გაერთიანება, ინტერესი შუა საუკუნეების თეატრალური ფორმების მიმართ – მის მიერ უკვე პირველი გაფორმებული წარმოდგენების სცენოგრაფიასა და კოსტიუმებში ვლინდება: ვ. მეიერჰოლდის „ტრისტანი და იზოლდა“ (მარინის თეატრი), „მასხარა ტანტრისი“ (ალექსანდრეს თეატრი, 1910), ნ. ევრეინოვის მიერ ორგანიზებული „ძველი თეატრის“ მეორე სეზონის (1911-1912 წწ.) წარმოდგენები (სადაც თანამშრომლობს „მირ ისკუსტვოს“ წევრებთან – ნ. რერიხი, ე. ლანსერე, ნ. კალმაკოვა), „პროფესორი სტორიცინი“ (ა. ტოლსტოი), „ვაი ჭკუისაგან“ (ა. გრიბოედოვი) - ალექსანდრეს თეატრი, „ღვთისმოსავი მარტა“ ("ძველი თეატრის“ მეორე სეზონი) და სხვ. ამ ექსპერიმენტული სპექტაკლების წარმატებას თეატრალური პრესა მრავალწილად სცენოგრაფიას მიაწერს.

1917 წლისათვის ალექსანდრე შერვაშიძე პრაქტიკულად პეტერბურგის ყველა საიმპერატორო თეატრის მთავარი დეკორატორია, თუმცა მხოლოდ სცენოგრაფიით არ კმაყოფილდება. პარალელურად იგი ხატავს „ძველი თეატრის“ კედლებს ლანსერესა და რერიხთან ერთად. მისი ესკიზების მიხედვით შეკერილი კოსტიუმებით გამოდიან „მოდის საღამოებზე“ პეტერბურგის ცნობილი მსახიობები. I მსოფლიო ომის მსხვერპლთა დასახმარებლად ხშირად მონაწილეობს საქველმოქმედო საღამოებსა და საიუბილეო სპექტაკლებში, გამოფენებსა და აუქციონებში. ამასთან ერთად პეტერბურგის ჟურნალ–გაზეთებში ბეჭდავს სტატიებსა და გამოკვლევებს რუსულ მხატვრობასა და ფრანგული ხელოვნების ისტორიის საკითხებზე.

ალექსანდრე შერვაშიძეს არასოდეს ავიწყდებოდა, რომ იგი საქართველოდან იყო. რუსეთის იმპერიის დედაქალაქში მოძებნა და დაუახლოვდა თავის თანამემამულეებს. აქტიურად ჩაერთო პეტერბურგელ ქართველთა კულტურულ ცხოვრებაში, ტრადიციად ქცეულ ქართველთა შეხვედრა–საღამოებს რუს ინტელიგენციასთან ქართული ყოფის ცოცხალი სურათებით წარმოადგენდა, არ წყვეტდა კავშირს ნათესავებთან, დაახლოებული იყო პეტერბურგში მცხოვრებ შერვაშიძეებთან და დადიანებთან. 1900-იანი წლების დასაწყისში პარიზში მასთან წლობით ცხოვრობდნენ ბათუმელი ნაკაშიძეები, რომლებთანაც ურთიერთობას მხატვარი შემდეგშიც აგრძელებდა, მაგრამ ყველაზე გულთბილი ურთიერთობა და სიყვარული ჰქონდა თავის სოხუმელ ძმასთან ვლადიმერთან და ბიძაშვილთან – პოეტსა და საზოგადო მოღვაწე გიორგი შერვაშიძესთან (აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილის და ალექსანდრა დადიანის ვაჟი). სწორედ მისი გარდაცვალება გახდა 1918 წელს ალექსანდრე შერვაშიძის სოხუმში მამა–პაპურ კერაზე დაბრუნების მიზეზი. აქ იწყება მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის საქმიანობა: აქტიურად მონაწილეობს სოხუმის არტისტული საზოგადოების მუშაობაში; ხსნის თეატრალურ კურსებს, სადაც იმხანად სოხუმში მყოფ ვ. კამენსკისა და ნ. ევრეინოვთან ერთად ასწავლის; დგამს რამდენიმე წარმოდგენას მოწაფეებთან ერთად; აარსებს საბავშვო სტუდიას სოხუმის ქალთა გიმნაზიის შენობაში; ხელმძღვანელობს ხატვის წრეს; კითხულობს ლექციებს ხელოვნების შესახებ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ქალაქებში; ეწევა საგანმანათლებლო მუშაობას და ამ მიზნით ნიკო მარსაც უკავშირდება. ორი წლის შემდეგ, პოლიტიკური ვითარების გამო, იძულებულია ჯერ ბათუმში და შემდეგ ყირიმში – ფეოდოსიაში გაემგზავროს, სადაც მისი შვილები და ყოფილი მეუღლე იმყოფებიან. აქ იღებს მიწვევას ცნობილი თეატრალური მოღვაწისა და ანტერპრენიორის ს. დიაგილევისაგან, რომელიც მას ევროპაში ყველა რუსული საოპერო და საბალეტო სპექტაკლების გაფორმებას სთავაზობს.

1920 წელს ალექსანდრე შერვაშიძე მეუღლესთან – ნ. ბუტკოვსკაიასთან ერთად მიემგზავრება ევროპაში და ამჯერად უკვე სამუდამოდ. 1921 წელს „მირ ისკუსტვოს“ ხელახლა აღორძინებული მხატვართა გამოფენის საპატიო თავმჯდომარედ ირჩევენ. ძირითადად ცხოვრობს პარიზში, თუმცა სისტემატურად იწვევენ ლონდონში, ბრიუსელში, მადრიდსა თუ მონტე–კარლოში. უმეტესად ს. დიაგილევის დასსთან მუშაობითაა დაკავებული. ამ წლებში ალექსანდრე შერვაშიძემ ისეთი ცნობილი სპექტაკლები გააფორმა, როგორებიცაა: ნ. გოგოლის „ქორწინება“ და „რევიზორი“ (ბრიუსელი, 1922); ჯ. ბალანჩინის ქორეოგრაფიით (ლონდონი, კოვენტ–გარდენი, 1926 წ.); ლ. ბეთჰოვენის „პრომეთეოსი“ (ქორეოგრაფი ლ. საფარი – (პარიზი, 1932); პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა“ (ქორეოგრაფი პეტიპა – აშშ, 1936-1944) და სხვ. აღსანიშნავია ფრანგული საბალეტო დასის მიერ მონტე–კარლოში დადგმული ბალეტი „შოთა რუსთაველი“, რომელიც გაზეთ „ქართული საქმის“ მხარდასაჭერად განხორციელდა (1945 წ.). ეს იყო ნიკოლას ევრეინოვისა და სერჟ ლიფარის ოთხაქტიანი ქორეოგრაფიული ეპოპეა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. ფარდა, დეკორაცია და კოსტიუმები ეკუთვნით – ალექსანდრე შერვაშიძეს და ს. ნეპოკოიტჩისტკის.

ჩვენი თანამემამულე მხატვარ-დეკორატორის შემოქმედება ღირსეულად იყო დაფასებული მის თანამედროვეებში, ევროპის სახელგანთქმული თეატრების მუზეუმებში დაცულია მისი ნახატები, დეკორაციები. იგი სამართლიანად ითვლებოდა ს. დიაგილევის მრავალი ჩანაფიქრის თანაავტორად საბალეტო დადგმების განხორციელებისას. ევროპის სხვადასხვა ენაზე გამოსულ ჟურნალ–გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებსა და წიგნებად ქცეულ მემუარულ ლიტერატურაში დიდი ყურადღება ეთმობა მის ღვაწლს. ალექსანდრე შერვაშიძის შემოქმედება უაღრესად მრავალფეროვანია. იგი ქმნის ილუსტრაციებს რუსული ხალხური ზღაპრებისა და სიმღერებისათვის; მუშაობს წიგნის დიზაინზე. მას ეკუთვნის დაზგური ნამუშევრებიც – პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები.

მხატვრის წერილები ფრანგულ ხელოვნებაზე დღესაც აქტუალურად მიიჩნევა. მის კალამს ეკუთვნის სტატიები პოლ სეზანზე, ვინსენტ ვან გოგზე, ალექსანდრე ბენუაზე. პარიზში იგი პაბლო პიკასოს, ა. დერენსს, ჟ. ბრაკს, ჟ. რუოს უმეგობრდება, რომელთა მონაწილეობა „რუსული ბალეტის“ დადგმებში ამ მეგობრობის შედეგიც იყო, მათი ესკიზები ალექსანდრე შერვაშიძის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გადმოდიან სცენაზე. 1924 წელს მან მოხატა პიკასოს „ზღვის პირას მორბენალი ქალების“ მიხედვით დარიუს მიეიოს „ლურჯი ექსპრესისთვის“ თეატრალური ფარდა (134 კვ.მ. ფარდა დღეს ლონდონში, ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმშია დაცული). XX საუკუნის საბალეტო ხელოვნების ერთ–ერთი ყველაზე ცნობილი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის სერჟ ლიფარის შეფასებით, ალექსანდრე შერვაშიძე იყო – „დასავლეთის თეატრალურ–მხატვრული რევოლუციის თანამონაწილე“. სალვადორ დალი მას „ევროპული არისტოკრატიის ჭეშმარიტ წარმომადგენელს“ უწოდებდა. მისი თანამედროვე რუსი რეჟისორი და თეატრის თეორეტიკოსი ნიკოლოზ ევრეინოვი კი აღნიშნავდა: „თავადი ალექსანდრე შერვაშიძე გახლავთ აღმოსავლური რაინდული კეთილშობილების განსახიერება, რაც ჩვენს დროში დიდ იშვიათობას წარმოადგენს“.

სიცოცხლის ბოლო წლები ალექსანდრე შერვაშიძემ მოხუცებულთა პანსიონატში გაატარა. 1958 წელს, უკვე ღრმად მოხუცებული მხატვარი, ქალიშვილს წერს სოხუმში: „...მხოლოდ სამუშაოზე ვფიქრობდი, ძალიან ცოტას საკუთარ თავზე, როდესაც ჩემი, როგორც დეკორატორის კარიერა დასრულდა, სრულიად უსახსროდ დავრჩი...“ და მაინც, მიუხედავად მატერიალური სიდუხჭირისა, მხატვარმა მთელი თავისი შემოქმედება – ანდერძით სამშობლოში გამოაგზავნა და ფულის აღებაზე უარი განაცხადა. 1958 წელს, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა მისგან საჩუქრად მიიღო პირადი არქივი და 500-მდე ნამუშევარი, რომელთაც ქართულ–აფხაზურად – შერვაშიძე-ჩაჩბად აწერდა ხელს. აქ იყო ყველაფერი – დაწყებული სცენის მუშა–ნახაზებით, ეკონომიკური გაანგარიშებებითა და დასრულებული სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოებებით, აქვე იყო მიმოწერა ხელოვნების მოღვაწეებთან, აფიშები, რეკლამები. მისი ნახატების ნაწილი ინახება სოხუმის სურათების გალერეაში. „...ეს ამანათები ჩემი ხელით შევკარი,“ – წერდა ალექსანდრე შერვაშიძე. ამ დიდი განძის ჩუქებისა და გულთბილი სიტყვების შემდეგ მხცოვანმა მხატვარ–დეკორატორმა კიდევ 10 წელი იცოცხლა. იგი 101 წლის ასაკში გარდაიცვალა მონაკოს ქალაქ მონტე–კარლოში, დაკრძალეს ქალაქ ნიცაში, რუსულ სასაფლაოზე. 1985 წელს მისი ნეშტი საქართველოში – სოხუმში გადმოასვენეს.

ქართულმა საზოგადოებამ ალექსანდრე შერვაშიძის შემოქმედება ფართოდ გაიცნო 1985 წელს, როდესაც თბილისში მისი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო.

რედაქტორი ნატო კორსანტია
ნომერზე მუშაობდნენ: მაია შონია, ეკატერინე გადილია, სალომე თორია, რუსუდან ემუხვარი